

მაია შამუგია ეკატერინე ჭელიძე ანა ანუშიძე  
მარინა ონიანი სოფიო გორგიჯანიძე  
დარეჯან ფალავა იამზე ეცეტაძე

# გეოგრაფია

# 10

## მასწავლებლის წიგნი

II ნაწილი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და  
მეცნიერების სამინისტროს მიერ 2022 წელს



გამომცემლობა „კლიო“

# გეოგრაფია

მაია შამუგია, ეკატერინე ჭელიძე, ანა ანუშიძე, მარინა ონიანი,  
სოფიო გორგივანიძე, დარეჯან ფალავა, იამზე ეცეტაძე

Х კლასი, მასწავლებლის წიგნი

II ნაწილი

## რედაქტორი მანანა ბალიაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
ლენე ვარამაშვილი

© გამომცემლობა „კლიო“, 2022

© მაია შამუგია, ეკატერინე ჭელიძე, მარინა ონიანი, ანა ანუშიძე,  
სოფიო გორგივანიძე, დარეჯან ფალავა, იამზე ეცეტაძე, 2022

ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-496-43-1

პირველი გამოცემა – 2022



შპს „გამომცემლობა კლიო“

აღმაშენებლის გამზ., №181,  
თბილისი, 0112

ტელ.: (+995 32) 234 04 30

E-mail: [book@kl.io.ge](mailto:book@kl.io.ge); [www.klio.ge](http://www.klio.ge)

## ს ა ჩ ჩ ი ვ ი

შესავალი	4
სახელმძღვანელოს კონცეფცია	4
სახელმძღვანელოს შინაარსი	5
ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები	6
გეოგრაფია. საშუალო საფეხურის სტანდარტი	8
მოსწავლის წიგნში გამოყენებული პირობითი ნიშნები	10
მოსწავლის წიგნის სარჩევი	11
სასწავლო კურიკულუმი – განვითარების გზა დასახული მიზნებისკენ	12
თემატური მატრიცები	20
შეფასება	52
მოსწავლის წიგნში მოცემული კითხვებისა და დავალებების პასუხები	53
მოსწავლის რვეულში მოცემული დავალების პასუხები	59
მეთოდური ლიტერატურა და ინტერნეტრესურსები	80

## შესავალი

X კლასის გეოგრაფიის სახელმძღვანელოსათვის შეიქმნა მასწავლებლის წიგნი, როგორც მეთოდური დამხმარე რესურსი. ის შედგება სამი ნაწილისაგან:

- I – ზოგადი ნაწილი;
- II – შესასწავლი თემების სასწავლო თემატური ერთეულები;
- III – დამატებითი მასალა.

თითოეული საკითხის შესწავლისათვის წიგნში წარმოდგენილი მეთოდები, აქტივობები, რესურსები თუ კომპლექსური დავალებები შემოთავაზებულია სასწავლო პროცესში გამოსაყენებლად. თქვენ გეძლევათ საშუალება, გაიზიაროთ, თქვენს სასწავლო გარემოს მოარგოთ ან, საჭიროებისამებრ, შეცვალოთ თემატურ ერთეულებში გაწერილი სწავლა-სწავლების პროცესი.

X კლასში გეოგრაფია შეისწავლება მოქმედი სტანდარტის მიხედვით. აღნიშნულ კურსში თემების შესწავლას ეთმობა კვირაში 2 სთ.

თქვენ გექნებათ საშუალება, მიზანმიმართულად დაგეგმოთ სასწავლო პროცესი. გისურვებთ წარმატებას!

## სახელმძღვანელოს კონცეფცია

სახელმძღვანელოს მიზანია, გააცნოს მოსწავლეებს დედამიწაზე მიმდინარე პროცესები და თითოეულ პროცესთან დაკავშირებული მოკლევადიანი თუ გრძელვადიანი შედეგები.

სახელმძღვანელოში განხილულმა თემებმა და შესრულებულმა დავალებებმა მოსწავლეებს უნდა გაააზრებინოს ბუნებასთან ადამიანის თანაცხოვრების, დაზიანებული გარემოს აღდგენისა და შენარჩუნების აუცილებლობა. თანამედროვე ადამიანი, როგორც მოქალაქე, უნდა აცნობიერებდეს, რომ ადამიანი არა მარტო ბუნებრივი რესურსების მომხმარებელია, არამედ მისი შემქმნელიცაა. ასეთ მიზნებზე აწყობილი სახელმძღვანელოს შინაარსი უზრუნველყოფს მოზარდის რაციონალურ აზროვნებასა და ბუნებისადმი მზრუნველ დამოკიდებულებას.

სახელმძღვანელოს ამოცანებია, მოსწავლეს:

- ხელი შეუწყოს, ალიქვას, გაიგოს და გაიაზროს დედამიწაზე მიმდინარე ფიზიკურ-გეოგრაფიული პროცესები და მოვლენები;
- ჩამოუყალიბოს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- განუვითაროს გეოგრაფიული კვლევისა და ანალიზის უნარი;
- ჩამოუყალიბოს სხვადასხვა წყაროთი მიღებული ინფორმაციის დამუშავებისა და განსხვავებულ ფორმატში წარმოდგენის უნარი;
- განუმტკიცოს ციფრული ტექნოლოგიების სასწავლო მიზნებისათვის გამოყენების უნარი;
- უზრუნველყოს კრიტიკული, ანალიტიკური და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება.

## სახელმძღვანელოს შინაარსი

მოქმედი სტანდარტის მიხედვით, მე-10 კლასში შეისწავლება **გეოგრაფიის** კურსი, რომელიც მოიცავს 2 თემას:

1. გლობალური დემოგრაფიული გამოწვევები და ცვლილებები – პირველ სემესტრში;
2. რესურსების გამოყენებისა და მართვის გლობალური კანონზომიერებები – მეორე სემესტრში.

პირველ სემესტრში განიხილება მოსახლეობა და მეურნეობა.

წლიური პროგრამა პირველ სემესტრში, სავარაუდოდ, მოიცავს 30 საათს.

იმ პარაგრაფში, რომელშიც ვრცელი მასალაა მოცემული, მასნავლებელს შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ მასალა დაყს გაკვეთილებად.

თითოეული პარაგრაფი შედგება საორიენტაციო შეკითხვებისა და შინაარსთან დაკავშირებული მრავალფეროვანი თვალსაჩინო მასალისაგან. პარაგრაფის ბოლოში კი მოცემულია გაგება-გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები; ასევე, ინტერაქტიული დავალებები და კომპლექსური დავალების ბარათები, რითაც მოსწავლე ავლენს დასწავლის ხარისხს.

სასწავლო მასალა დაწერილია საინტერესოდ, მარტივი და გასაგები ენით, შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ შესაძლებლობებს.

მოსწავლე ეცნობა საინტერესო ფაქტებსა და ცხოვრებისეულ მაგალითებს, რომლებიც აღვივებენ მის ინტერესს გარემოში მიმდინარე პროცესებისადმი. ნაცნობი მაგალითების განხილვა მას განაწყობს, მეტი გულისყურით დააკვირდეს გარესამყაროს, დაფიქრდეს ბუნებაში ცვლილებების გამომწვევ იმ მიზეზებზე, რაც გააანალიზოს პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობს ან შეუშლის ამ ცვლილებებს.

სახელმძღვანელოში არის თვალსაჩინო მასალა რუკების, ცხრილების, სქემების, გრაფიკების, ფოტომასალისა და ილუსტრაციების სახით.

სახელმძღვანელოში მოცემული დავალებები მოსწავლეს საშუალებას მისცემს:

- 1) შეიძინოს ცოდნა და უნარ-ჩვევები;
- 2) შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებზე დაყრდნობით გააკეთოს აღმოჩენა;
- 3) მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები გამოიყენოს სხვადასხვა სიტუაციაში.

## ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს, შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის.

ამასთან ერთად, განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონიერივ და ფიზიკურ უნარ-ჩვებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცონიერებას და ემარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება:

სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს უნარი, რომ სწორად განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პკლიტიკური ინტერესები, და მისცეს მას სასიკეთო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აქტიური მოქმედების შესაძლებლობა.

ბ) ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა;

მოზარდმა უნდა იცოდეს, რა ბუნებრივ გარემოში ცხოვრობს, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ, როგორ შეინარჩუნოს და დაიცვას ბუნებრივი გარემო;

გ) ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი;

დღეს, როდესაც ადამიანისათვის მისაწვდომია დიდი მოცულობისა და სხვადასხვა შინაარსის ინფორმაცია, მისი ეფექტიანად გამოყენების უნარი სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. მოზარდს უნდა შეძლოს არა მხოლოდ ინფორმაციის მოპოვება, არამედ მისი შეფასებაც შინაარსის, დანიშნულებისა და ხარისხის მიხედვით, დასახული მიზნებისათვის მისი გამოყენების ფორმების განსაზღვრა; ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტიანი გამოყენება ყოველდღიური ცხოვრების, მუშაობის, ინტელექტუალური თუ სულიერი მოღვაწეობის პირობების გასაუმჯობესებლად.

დ) დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების მიღება;

სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღების უნარ-ჩვევები;

ე) იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე;

სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს მოზარდის იმ უნარ-ჩვევების განვითარება, რომლებიც მისცემს მას საშუალებას, უკვე არსებული გამოცდილება და მიღწევები გამოიყენოს ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად.

ვ) საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც;

სასკოლო განათლებამ მოზარდს უნდა ჩამოუყალიბოს უწყვეტი განვითარების, მთელი ცხოვრების განმავლობაში ახალი ცოდნისა და ჩვევების დამოუკიდებლად შეძლის უნარი, რათა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობებისა და სულიერი მიღრეკილებების ადეკვატურად განსაზღვრა და ამის მიხედვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება; მოზარდი მზად უნდა იყოს, არჩევანი გააკეთოს მომავალი განათლებისა და შრომითი საქმიანობისათვის;

გ) კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან;

სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ საზოგადოების მომავალ წევრებს განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები (წერა, კითხვა, მეტყველება, მოსმენა), საორგანიზაციო და ჯგუფური მუშაობის ჩვევები, მათ შორის, მათაც, ვისთვისაც საქართველოს სახელმწიფო ენა მშობლიური არ არის.

თ) იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე;

დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იქნება ურთიერთშემეცნების ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. მოზარდს უნდა შეეძლოს ადამიანის არსებითი უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელება და ამ პრინციპებით ცხოვრება.

### **ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის ძირითადი საშუალებები:**

მოზარდის ზემოთ აღნიშვნილი უნარ-ჩვევების განვითარებისათვის საქართველოს სახელმწიფო კისრულობს პასუხისმგებლობას, შეიმუშაოს და დანერგოს:

#### **1. ზოგადი განათლების პოლიტიკა და კანონმდებლობა**

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკითა და კანონმდებლობით განსაზღვრება როგორც სასკოლო განათლების სფეროში ჩაბმულ მხარეთა უფლებები და მოვალეობები, ისე მიზნების მიღწევის ძირითადი გზები და საშუალებებიც.

#### **2. ზოგადსაგანმანათლებლო სასკოლო სისტემა**

ზოგადსაგანმანათლებლო სასკოლო სისტემას ქმნიან სხვადასხვა სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმისა და დაფინანსების წყაროების მქონე დამოუკიდებელი იურიდიული პირები, რომლებიც ახორციელებენ საგანმანათლებლო საქმიანობას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მართვის პრინციპებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის, სასკოლო წესდებების მიხედვით. სასკოლო სისტემა მოიცავს მუდმივად განვითარებად მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს.

#### **3. ზოგადსაგანმანათლებლო სასკოლო სისტემის რეგულირებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები**

სასკოლო სისტემის მართვის აუცილებელი კომპონენტებია: ლიცენზირება, აკრედიტაცია და ატესტაცია; სკოლის ადმინისტრაციული, ფინანსური და ადამიანური რესურსების მართვის განვითარება; სასკოლო სისტემის მართვის ძირითადი ფორმების განსაზღვრა და მათი შესრულების უზრუნველყოფა; ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და ფუნქციონირების ხარისხის შეფასება; ეროვნული შეფასებისა და საგამოცდო სისტემების შექმნა და მართვა.

#### **4. ეროვნული სასწავლო გეგმა**

ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავება ხდება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების საფუძველზე. ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს: მოსწავლეთა დატვირთვის აუცილებელ მოცულობას; ცოდნის განვითარების ზოგად ხერხებს; საჭირო ინფორმაციის მოცულობასა და შესაბამის უნარ-ჩვევებს თითოეული საფეხურის დამთავრებისას; საგნებსა და პრიორიტეტებს სასკოლო განათლების ყველა საფეხურზე.

საზოგადოებრივი აქტივურობისა და არსებული რესურსების ეფექტიანი ამოქმედების გარეშე ეს ცალკეული საშუალებები ვერ უზრუნველყოფს მოზარდში ზემოჩამოთვლილ უნარ-ჩვევათა სრულყოფილ განვითარებას. ამიტომ ამ ჩვევების გამომუშავება უნდა მოხდეს სასკოლო გარემოს სრული ჩართვით: მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების, ადმინისტრატორებისა და სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით ისეთ განსხვავებულ პირობებში, როგორებიცაა გამოცდები თუ არჩევნები, საკლასო ოთახი თუ სახლი, კლუბი, სპორტული დარბაზი, სკოლის ეზო თუ სახელოსნო. მოსწავლეების, მათი მშობლების, მასწავლებლების, დირექციისა თუ საზოგადოების აქტიური მონაწილეობა განაპირობებს მიზნების მიღწევის ხარისხსა და წარმატებულობას.

სახელმწიფო მიზნად ისახავს ისეთი სასკოლო სისტემის შექმნას, რომელიც თითოეულ მოსწავლეს მისცემს აღნიშნული უნარ-ჩვევების შეთვისების თანაბარ შესაძლებლობას.

სახელმწიფო არ დაუშვებს მოსწავლის დისკრიმინაციას სოციალური, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან პოლიტიკური კუთვნილების, ფიზიკური შესაძლებლობებისა თუ სხვა ნიშნების მიხედვით.

## გეოგრაფია. საშუალო საცენტრო სტანდარტი

### შესავალი

კურსი განკუთვნილია საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის. მის ფარგლებში ფართოვდება და ღრმავდება საბაზო საფეხურზე გეოგრაფიაში შეძენილი ცოდნა.

სტანდარტში შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნები.

შინაარსი აღინიშნება თემების (ქვეთამების), საკითხებისა და ქვეცნებების სახით. ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს სავალდებულო თემებს, თემების შესაბამის საკითხებს კი სკოლები თავად ირჩევენ.

თითოეულ თემას ახლავს შედეგების მიღწევის ინდიკატორები. ის განსაზღვრავს, თუ რა უნდა შეფასდეს სწავლა-სწავლების პროცესში. ინდიკატორები დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით.

#### საფეხურის შედეგები

საშუალო საფეხურზე სტანდარტში განერილ თითოეულ შედეგს წინ უძლვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., გეო.საშ.1.:

„გეო.“ — მიუთითებს საგანს „გეოგრაფია“;

„საშ.“ — მიუთითებს საშუალო საფეხურს;

„1“ — მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

გეოგრაფიის სტანდარტის შედეგები საშუალო საფეხურზე		
შედეგების ინდექსები	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	სამიზნე ცნებები:
გეო.საშ.1.	გეოგრაფიული გარსის მთლიანობის აღქმა და მისი გეოსფეროების (ლითოსფერო, ატმოსფერო, ჰიდროსფერო, ბიოსფერო, ნოოსფერო, დედამინის შინაგანი აგებულება) ურთიერთდამოებიდებულების გაანალიზება, გეოგრაფიული გარსის კანონზომიერებების დასადგენად;	გეოგრაფიული გარსი (შედეგები 1, 2, 3, 4,) მოსახლეობა და მეურნეობა (შედეგები 3, 4) მდგრადი განვითარება (შედეგები 1)
გეო.საშ.2.	ბუნებრივი პირობების გავლენის გაანალიზება, მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობასა და ცხოვრების წესზე განვითარების ზოგადი სივრცითი კანონზომიერებების დასადგენად;	
გეო.საშ.3.	მოსახლეობის ძირითადი მახასიათებლებისა და დინამიკის გაანალიზება, ბუნებრივ და საზოგადოებრივ სისტემებზე მათი გავლენის დასადგენად;	
გეო.საშ.4	მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით რესურსების რაციონალური მოხმარება და მართვა.	

#### სავალდებულო თემები

X კლასი
1. გლობალური დემოგრაფიული გამოწვევები და ცვლილებები
2. რესურსების გამოყენებისა და მართვის გლობალური გამოწვევები და ცვლილებები

მე-3 თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) და გეოგრაფიის სტანდარტის დანერგვის ფარგლებში აუცილებელია მასწავლებლებმა დაიცვან სავალდებულო თემების თანმიმდევრობა (რეკომენდებულია ერთ სემესტრში ერთი თემის სწავლება).

სავალდებულო თემებისა და შეფასების ინდიკატორების დამაკავშირებელი ცხრილები:

თითოეულ ცხრილში მოცემულია თემის დასახელება, მისი აღწერა და შეფასების ინდიკატორები, რომლებშიც ნაჩვენებია, როგორ რეალიზდება შედეგები კონკრეტულ თემაში.

## X კლასი

### თემა: 1. გლობალური დემოგრაფიული გამოწვევები და ცვლილებები

- თემა მოიცავს დემოგრაფიული პროცესების / მოვლენების მიზეზებისა და შედეგების შესწავლას – კერძოდ, იმის შესწავლას, თუ რა გავლენას ახდენს ბუნებრივი გარემო ადამიანის საქმიანობაზე, განსახლებასა და მათ სივრცით კანონზომიერებებზე; რა გავლენა აქვს მოსახლეობას ბუნებრივ სისტემებზე. როგორ უნდა ვმართოთ დემოგრაფიული პროცესები სათანადოდ, რათა თავიდან ავიცილოთ გართულებები და მოსალოდნელი საფრთხეები.

#### თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით:

გეოგრაფიული გარსი – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- გაანალიზოს დემოგრაფიული პროცესებით გამოწვეული ცვლილებებისა (მაგ.: მიგრაცია, მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარება, „მწვანე რევოლუცია“) და გეოგრაფიული გარსის (ლითოსფერო, ატმოსფერო, ჰიდროსფერო, ბიოსფერო, ნოოსფერო) ურთიერთდაცავშირებულობა და ურთიერთზეგავლენა.

მოსახლეობა და მეურნეობა – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- მოსახლეობის ძირითადი მახასიათებლებისა და დინამიკის (მოსახლეობის ცვლილება, დემოგრაფიული სიტუაცია – ხანდაზმულთა ხვედრითი წილის ზრდა, გაახალგაზრდავება, დემოგრაფიული პოლიტიკა, დემოგრაფიული ტენდენციები – გადასვლის ფაზები) გაანალიზება ბუნებრივ და საზოგადოებრივ სისტემებზე მათი გავლენის დასადგენად.

მდგრადი განვითარება – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- გლობალურ დემოგრაფიულ პროცესებზე მსჯელობისას მომავალ თაობათა ინტერესების გათვალისწინება (ნიადაგის დაბინძურება და ეროზია).

### თემა: 2. რესურსების გამოყენებისა და მართვის გლობალური კანონზომიერებები

- თემა გულისხმობს რესურსების გამოყენებისა და მართვის გლობალური კანონზომიერებების შესწავლას, კერძოდ, იმის გაანალიზებას, თუ როგორ შეიძლება განსაზღვროს ამა თუ იმ რესურსის სიჭარემ, ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური პროფილი და მსოფლიო მნიშვნელობის ისეთი პროცესები, როგორიცაა მაგალითად, სამეურნეო საქმიანობა, რესურსების არათანაბარი განაწილება, ნარჩენების მდგრადი მართვა.

#### თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით:

გეოგრაფიული გარსი – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- გაანალიზოს რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული პროცესებისა და პრობლემების (მაგ., რესურსების არათანაბარი განაწილება და რესურსუზრუნველყოფა) ზეგავლენა გეოგრაფიულ გარსზე.

მოსახლეობა და მეურნეობა – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- მოსახლეობის ძირითადი მახასიათებლებისა და განლაგების (სიმჭიდროვე, ეკომიგრაცია) გაანალიზება რესურსების გამოყენებაზე მათი გავლენის დასადგენად.

მდგრადი განვითარება – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- რესურსების გამოყენებაზე და მართვაზე მსჯელობისას მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინება (გაუდაბნოება, ნარჩენების მართვა, მდგრადი ტურიზმი).

## მოსწავლის წიგნში გამოყენებული პირობითი ნიშნები

### სამიზნე ცნებები



მოსახლეობა და მეურნეობა



მდგრადი განვითარება



გეოგრაფიული გარსი



**სადისკუსიო კითხვა** – გაკვეთილის დასაწყისში დასმული კითხვა, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება საკითხის სიღრმისეულ გააზრებაში.



**ქეისი** – პატარა ამბავი, რომელიც მოსწავლეს აღნიშნული საკითხისადმი ინტერესს გაუღვიძებს.



**კითხვა** – პარაგრაფში მოცემულ საკითხებზე ორიენტირებული კითხვები.



**საინტერესო ამბები** – გაცნობითი ხასიათის საინტერესო ამბები.



**ლექსიკონი** – უცხო სიტყვების განმარტება.



**გაიხსენე** – გეოგრაფიასა თუ სხვა საგანში მიღებული ცოდნის გახსენება.



**გაკვეთილის გაგება-გააზრება**



**საშინაო დავალება**



**კომპლექსური დავალება**

## მოსწავლის წიგნის სარჩევი

	<b>თემა 2. რესურსების გამოყენებისა და მართვის გლობალური კანონზომიერებები</b>
	<b>ბუნებრივი რესურსები</b>
§ 1	ბუნებრივი პირობები და რესურსები
§ 2	რესურსების არათანაბარი განაწილება და რესურსუზრუნველყოფა
§ 3	ლითოსფერული რესურსები
§ 4	ბიოლოგიური რესურსები
§ 5	ჰიდროსფერული რესურსები
	კომპლექსური დავალება – მზის ენერგია და საქართველოს ენერგეტიკული პერსპექტივები
§ 6	კლიმატური და კოსმოსური რესურსები
§ 7	რეკრეაციული რესურსები
	<b>მოსახლეობა</b>
§ 8	მოსახლეობის სიმჭიდროვე
	კომპლექსური დავალება – ამაზონის ტყეები – „პლანეტის ფილტვები“
§ 9	ეკომიგრაცია
	კომპლექსური დავალება – ეკომიგრაცია
	<b>მეურნეობა</b>
§ 10	მდგრადი ტურიზმი
§ 11	გაუდაბნოება
	კომპლექსური დავალება – გაუდაბნოება – პლანეტარული გამოწვევა XXI საუკუნეში
§ 12	ნარჩენების მართვა
	კომპლექსური დავალება – ნარჩენების მართვა თანამედროვე მსოფლიოში
	დანართი 1. მსოფლიო ფიზიკური რუკა
	დანართი 2. მსოფლიო პოლიტიკური რუკა
	დანართი 3. მდგრადი განვითარების მიზნები
	დანართი 4 ეკოსტანდარტები

## სასწავლო კურიკულუმი – განვითარების გზა დასახული მიზნებისკენ

სასწავლო პროცესის სრულყოფილად მართვის საუკეთესო ბერკეტია მისი სწორად დაგეგმვა. სწორად დაგეგმვა კი ნიშნავს იმას, რომ თითოეულ მასწავლებელს აქვს გამართული საგნობრივი სასწავლო კურიკულუმი.

კურიკულუმი მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან *currere* და „სირბილს“, „მოძრაობას“ აღნიშნავს. მასწავლებელმა ისე უნდა დაგეგმოს სასწავლო კურიკულუმი, რომ მოსწავლეების „მოძრაობა“ სასწავლო შედეგისკენ იყოს მიზანმიმართული და საინტერესო სასწავლო პროცესზე დაფუძნებული.

თითოეული საგნის სასწავლო შედეგი განერილია ეროვნულ სასწავლო გეგმაში: (ესგ) მათი მიღწევა შესაძლებელია შეთავაზებული სასწავლო თემების დამუშავებით. ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს და რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს თითოეული საგნის ფარგლებში საფეხურების მიხედვით – დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე. თითოეული შედეგი მუშავდება სპირალური პრინციპით საფეხურის განმავლობაში. ესგ-ის საგნობრივი შედეგები და სასწავლო თემები საქართველოს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის ერთი და იგივეა. თითოეული მასწავლებელი კი, საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის, მოსწავლეთა საჭიროებებისა და თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით, გეგმას სასწავლო კურიკულუმს, ირჩევს თავისი მოსწავლეებისთვის ხელსაყრელ გზას შედეგამდე მისასვლელად.

სკოლის ყველა მასწავლებელი ერთად ქმნის სასკოლო კურიკულუმს, რომელიც აზუსტებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნას სკოლის სპეციფიკის გათვალისწინებით და წარმოაჩენს გზას, რომელიც მოსწავლემ, მასწავლებელმა და სკოლამ უნდა გაიაროს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესასრულებლად.

### რა გავითვალისწინოთ კურიკულუმის აგებისას?

კურიკულუმი იმგვარად უნდა აიგოს, რომ სასწავლო მიზნები, შინაარსი, მეთოდოლოგია და შეფასების სისტემა თვისებრივ მთლიანობას ქმნიდეს. პროცესი კი, რომელშიც მოსწავლეა ჩართული, უნდა იყოს კონსტრუქტივისტულად დაგეგმილი და გათვლილი ისეთ შედეგზე, როდესაც მოსწავლე ფლობს ცოდნის სამივე კატეგორიას.

საგანმანათლებლო პროცესი ეფუძნება ხუთ კონსტრუქტივისტულ პარადიგმას:

1) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას. მხოლოდ შინაგანი აქტიურობის საფუძველზე გარდაიქმნება ინფორმაცია ცოდნად.

2) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

ინფორმაციის დამუშავება და ცოდნად გარდაქმნა წინარე ცოდნის საშუალებით ხორციელდება. გაგების აქტი რომ განხორციელდეს, კავშირი უნდა დამყარდეს ახალ ინფორმაციასა და მეხსიერებაში არსებულ ცოდნას შორის. „მხოლოდ იმის სწავლა შეგვიძლია, რის შესახებაც ცოდნა გვაქვს“, – ამბობენ და კვლევებით ადასტურებენ კოგნიტივისტები.

3) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებას.

გონებაში ცოდნის ორგანიზების ფორმას აზრობრივ სქემებს უწყდებენ. რაც უფრო ორგანიზებულად უკავშირდება ერთმანეთს აზრობრივი სქემები, მით უფრო ძლიერდება სააზროვნო რესურსი და დამახსოვრების უნარი.

4) სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლა).

მოსწავლეს შეძენილ ცოდნაზე მეტად ზრდის და განავითარებს სააზროვნო პროცესების გაცნობიერება და მათი ეფექტიანად მართვის სწავლა. სწავლაში მეტი მიღწევა იმას აქვს, ვინც ცოდნის განვითარების საშუალებებს ეუფლება.

5) სწავლა – სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას:

- დეკლარაციულს (რა ეწოდება?);
- პროცედურულს (როგორ შევასრულო?);
- პირობისეულს (როდის გამოვიყენო?).



### რისი დაგეგმვა უწევს პედაგოგს?

პედაგოგი სწავლა-სწავლების პროცესში გეგმავს ოთხ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს:

1) რისთვის ვასწავლო? – ეს სასწავლო მიზანია.

სასწავლო მიზანი განსაზღვრავს რა მიზნით ვასწავლით, საით, რა მიზნებისკენ უნდა მიღიოდეს არჩიეული „გზა“.

2) რა ვასწავლო? – ეს სასწავლო რესურსი და სასწავლო მასალაა.

სასწავლო რესურსები განსაზღვრავს, რა გზით ვიაროთ მიზნის მისაღწევად, ანუ რა სასწავლო მასალა და რესურსი გამოადგება მასწავლებელს მოსწავლეთა მიზნამდე მისაყვანად.

3) როგორ ვასწავლო? – ეს მეთოდიკაა.

მეთოდებში განერილი უნდა იყოს შესაფერისი მიდგომები და სტრატეგიები, რომელთა გამოყენებითაც მივაღწევთ მიზანს. ეს მიდგომები კი თითოეული მოსწავლის საჭიროების გათვალისწინებით უნდა გაინწროს, რათა მოსწავლებს გაუადვილდეთ სასწავლო პროცესში შემცველი ყველა დაბრკოლების გადაღახვა და შედეგამდე მისვლა.

4) როგორ შევაფასო? – ეს შეფასების კრიტერიუმებია.

შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრავს, როგორ შევაფასოთ მოსწავლეთა წინსვლა და მიღწევები, როგორ შევუწყოთ ხელი მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას და როგორ დავადგინოთ მათი საჭიროებები.

ამ ოთხ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს მასწავლებელი გეგმავს და ითვალისწინებს სასწავლო თემატური ერთეულის შექმნისას.

### როგორ შევქმნათ სასწავლო თემატური ერთეული?

მე-3 თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) პედაგოგიური პრაქტიკის სრულყოფისთვის გათვალისწინებული იყო დამატებითი მხარდაჭერა. შედეგად კი მასწავლებლებმა შექმნეს თემატური ერთეულები, რომლებშიც კარგადაა განერილი ოთხივე უმნიშვნელოვანესი კომპონენტი; ამის შესახებ ზემოთ მოგახსენეთ.

## გეოგრაფიის საგნის თემატური ერთეულის – გეოგრაფიის მატრიცის ჩარჩო

<p><b>თემა:</b>  <b>საათების რაოდენობა:</b></p>			
<p><b>თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:</b></p>			
<p><b>თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები:</b></p>			
<p><b>თემასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვები:</b></p>			
<p>სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები</p>	<p>საკითხი და ქვეცნებები</p>	<p>საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები</p>	<p>კომპლექსური დავალება</p> <p>ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინე: ნაშრომის დასრულების შემდეგ გააკეთე რეფლექსია:</p>
	<p>კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები</p>		<p>შეფასების კრიტერიუმები</p>

### თემატური ერთეულის გზამკვლევი

ახლა დეტალურად განვიხილოთ თემატურ ერთეულში არსებული თითოეული გრაფა. მარტივი ორიენტირებისთვის თითოეული გრაფა სხვადასხვა ფერითაა მონიშნული.

#### ეტაპი I

თემატური ერთეულის შექსებას ვიწყებთ თემის განსაზღვრით. საგნობრივი თემატიკა თითოეული საგნისთვის განსაზღვრულია ესგ-ის წლიური პროგრამით. ყველა გრიფირებული სახელმძღვანელო ეყრდნობა შემოთავაზებულ თემატიკას და ასე დგება წიგნის შინაარსი (იხილეთ გეოგრაფიის წლიური პროგრამა).

რა არის თემა და რატომ ვიწყებთ თემის შერჩევას?

თემა არის:

- კონტექსტი და არა სამიზნე ორიენტირი;
- მოსწავლისთვის ნაცნობი ფენომენი;
- სტრუქტურული ერთეული, რომელზე მუშაობაც დროის ვრცელ მონაცემთში მიმდინარეობს.

სასწავლო თემა არის ფუნქციური კონტექსტი, რომელიც სტანდარტის შედეგების, ცნებებისა თუ კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში შეძლებისდაგვარად უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი.

ასე რომ, მასწავლებელი თავდაპირველად განსაზღვრავს, რომელი თემის ფარგლებში აპირებს თემატური ერთეულის შექმნას და რამდენი დრო – კვირეული – საათი დასჭირდება ამ

თემის ფარგლებში სასურველი საკითხების დასამუშავებლად. თემის დასამუშავებლად საჭირო დროც, სარეზიულო დროსთან ერთად, მითითებულია საგნის წლიურ პროგრამაში (იხილეთ ელექტრონულ მისამართზე): <https://mes.gov.ge/content.php?id=12326&lang=geo>

## ეტაპი II

საგნობრივად განსაზღვრულ თემატიკას ეროვნულ სასწავლო გეგმაში ახლავს თემის მკვიდრი წარმოდგენები და საკვანძო შეკითხვები.

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები განსაზღვრავს შესასწავლი თემის ჩარჩოებს; აკონკრეტებს, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ კონკრეტულ თემასთან მიმართებით (თემატური მკვიდრი წარმოდგენები განსხვავდება სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენებისგან).

თემატური საკვანძო შეკითხვები კი გამოკვეთს, რაზე უნდა დაფიქრდეს მოსწავლე კომპლექსური დავალების შესრულებისას.

## ეტაპი III

თემისა და მისი მკვიდრი წარმოდგენებს გაანალიზების შემდეგ, მასწავლებელი შეარჩევს საგნობრივ საკითხებს ამ თემის მკვიდრი წარმოდგენებისა და საგნის სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით. საგნობრივი საკითხების სწავლება თვითმიზანს არ წარმოადგენს.

საგნობრივი საკითხი / ქვეცნება წარმოადგენს სამიზნე ცნების ტრანსფერის არეალს / მაგალითთა წრეს / სამიზნე ცნების ქვესიმრავლებს;

ის უკავშირდება იმავე მკვიდრ წარმოდგენებს, რასაც სამიზნე ცნება.

საგნობრივი საკითხების მეშვეობით მოსწავლე გაიაზრებს ცნების შინაარსს, ამუშავებს საკვანძო შეკითხვებს, ასრულებს კომპლექსურ დავალებებს. ასე რომ, თემისა და სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება მასწავლებელს შეუძლია კლასზე მორგებული სხვადასხვა საკითხით.

## ეტაპი IV

თემის ფარგლებში/თემაში წარმოდგენილ თითოეულ საკითხთან მიმართებით სამიზნე ცნებისა და ქვეცნებების განსაზღვრა

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები განსაზღვრავს იმ არსებით ცოდნას, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაუუფლოს.

ცნება ეს არის:

მთავარი სამიზნე ობიექტი, რომელიც მთელი საფეხურის ფარგლებში რჩება ორიენტირად; მუშავდება სხვადასხვა თემატურ კონტექსტში (ცნება – მიზანი, თემა – საშუალება); სამიზნე არ შეიძლება იყოს ცნებების დიდი რაოდენობა.

გეოგრაფიის საგნისთვის განსაზღვრულია შემდეგი სამიზნე ცნებები:

- 1) გეოგრაფიული გარსი;
- 2) მოსახლეობა და მეურნეობა;
- 3) მდგრადი განვითარება.

## **სამიზნე ცნებები**

(იხილეთ დანართი №1 – გეოგრაფიის სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები) სამიზნე ცნებებსა და თემებს ახლავს მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც ეყრდნობა სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგებს. ეს არის ზოგადი წარმოდგენები, რომლებიც თემის შესწავლისას უნდა ჩამოყალიბდეს მოსწავლის ხანგრძლივ მეხსიერებაში მის (მოსწავლის) წინარე წარმოდგენებზე დაყრდნობით, რათა მას თემის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევა გაუადვილდეს. მკვიდრი წარმოდგენები აზროვნების საყრდენია გაგების აქტების განსახორციელებლად.

## **მკვიდრი წარმოდგენები**

- შემოსაზღვრავს საგნისთვის საფეხურის შიგნით ცნების მოცულობას;
- ცოდნის ყველაზე უფრო ღრმა შრეა (გათავისება, გასისხლხორცება, გონებითი ჩვევა). შედეგი სასურველია, თუ მოსწავლე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს საკუთარი სიტყვებით აყალბებს სხვადასხვა თემისა და საკითხის ფარგლებში.

**დანართი №1 – სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები – გეოგრაფია  
საშუალო საფეხური**

## **გეოგრაფიული გარსი**

- გეოგრაფიული გარსი შედგება გეოსფეროებისაგან (ლითოსფერო, ატმოსფერო, ჰიდროსფერო, ბიოსფერო), რომელთაც ახასიათებთ მთელი რიგი კანონზომიერებები;
- ადამიანების წყალობით ყალიბდება ნოოსფერო (გონის სფერო), რომელიც ზემოქმედებს სხვა გეოსფეროებზე.

## **მოსახლეობა და მეურნეობა**

- ბუნებრივი გარემო გავლენას ახდენს მოსახლეობასა და მეურნეობაზე. სხვადასხვა ქვეყანაში მეურნეობის ესა თუ ის დარგია წამყვანი, რაც შრომის გეოგრაფიულ დანაწილებას განაპირობებს;
- მოსახლეობისა და მეურნეობის სტრუქტურა, განაწილება და განლაგება ცვალებადია დროსა და სივრცეში;
- სახელმწიფო გავლენას ახდენს ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე, რაც მის განვითარების დონეზე აისახება.

## **მდგრადი განვითარება**

- ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები შეიძლება მოჰყვეს;
- მდგრადი განვითარების მიზნების (სოციალური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და კეთილდღეობა) შესრულება აუცილებელია მომავალი თაობების კეთილდღეობისთვის.

## ეტაპი V

როდესაც მასწავლებელი განსაზღვრავს თემას, ცნებას და მათი მკვიდრი წარმოდგენების დასამუშავებელ საშუალებად შეარჩევს შესაბამის საკითხს, ის გეგმავს კომპლექსურ დავალებას, რომელიც არის სწავლების შედეგი, მოსწავლის შემოქმედებითი პროდუქტი.

### კომპლექსური დავალება

დავალება, რომელიც ცოდნის სამივე კატეგორიაზეა ორიენტირებული (განსაკუთრებით, პირობისეულზე), ანუ არ არის ორიენტირებული მხოლოდ პროცედურულ და დეკლარაციულ ცოდნაზე:

- გამოიყენება ცოდნის ასაგებად და არა მხოლოდ ნასწავლის შესამოწმებლად;
- კონკრეტული მოსწავლისთვის ხელმისაწვდომი ფორმით გამოხატული ცოდნაა, რომელიც სამიზნე ცნებაზე მუშაობისთვის გამოიყენება და არის განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი.

თემატურ ერთეულში განსაზღვრულია გრაფა კომპლექსური დავალების პირობისთვის, თუმცა, შესაძლოა, მასწავლებელმა კომპლექსური დავალება განეროს კომპლექსური დავალების ბარათში.

**სამიზნე ცნება –** საგნობრივი სამიზნე ცნებებიდან ვარჩევთ ერთს ან რამდენიმეს.

**შედეგები –** ესგ-ის შედეგები ინდიკატორების მიხედვით, რომელთა დაფარვაც ხორციელდება კომპლექსური დავალების დამუშავებისას.

**საკითხი –** თემის შიგნით შერჩეული არსებითი საკითხი, რომელიც ემსახურება შერჩეული სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების გააზრებას.

კომპლექსური დავალების პირობა:

ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინე:

პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის:

## ეტაპი VI

### აქტივობები

მიმდინარე დავალებების ტიპების/ნიმუშების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება იყოს გამოყენებული გაგება-გააზრებისთვის, ასევე ცოდნის ათვისების, განმტკიცებისა და შემაჯამებელი პროდუქტის – კომპლექსური დავალების შესრულების ხელშესაწყობად.

ამ ნაბიჯების თანმიმდევრული დაგეგმვის შედეგად მასწავლებელს მზად აქვს თემატური ერთეული – მატრიცა.

თემატურ მატრიცაში სამიზნე ცნების განსაზღვრა, ფაქტობრივად, დაგეგმვაა იმისა, რისთვის, რა მიზნისთვის ვასწავლით.

თემატურ მატრიცაში თემები და საკითხები ის საჭირო საშუალებებია, რომელთა დახმარებითაც მიღდივართ მიზნისკენ. ასე, ფაქტობრივად ვგეგმვა იმისა, **თუ რას ვასწავლით.**

თემატურ მატრიცაში განვითარებული ჩასატარებელი აქტივობები, ფაქტობრივად, ხიდია სამიზნე ცნებასა და კომპლექსურ დავალებას შორის. საკვანძო კითხვები, რომლებიც გამომდინარეობს სამიზნე ცნებისა და თემის მკვიდრი წარმოდგენებისგან, აქტივობების ორიენტირია. აქტივობების დაგეგმვა, ფაქტობრივად, დაგეგმვაა იმისა, როგორ/რა მეთოდით ვასწავლი.

თემატურ მატრიცაში წარმოდგენილი კომპლექსური დავალება, რომელიც მოსწავლის მიერ დადებული შემოქმედებითი პროდუქტია, ფასდება წინასწარ განვითარებული შეფასების კრიტერიუმებით, რომლებიც ეფუძნება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შეფასების ინდიკატორებს. შეფასების კრიტერიუმები ერთვის ყველა კომპლექსურ დავალებას. ეს, ფაქტობრივად, დაგეგმვაა იმისა, **თუ როგორ ვაფასებთ ნასწავლს.**

ასეთი თემატური ერთეულების ერთობლიობით იქმნება საფეხურებრივი კურიკულუმი.

## განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება

შეფასება ერთ-ერთი კომპონენტია იმ ოთხი მნიშვნელოვანი კომპონენტიდან, რომლებიც საჭიროა კარგად განსაზღვროს მასწავლებელმა სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხიანად და სრულფასოვნად წარმართვისთვის.

განმსაზღვრელი შეფასება დარეგულირებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით და მასწავლებელი იყენებს მას შესაბამისად.

მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც ხორციელდება SOLO ტაქსონომიის მიხედვით.

დაკვირვებადი სწავლის შედეგების ტაქსონომია

S — Structure of


O — Observed

L — Learning


O — Outcomes

სისტემური გზა იმის აღსაწერად, უნარ-ჩვევების განვითარებასთან ერთად, როგორ უმჯობესდება მოსწავლის მიღწევები (performance) კომპლექსურობის კუთხით.

სოლო ტაქსონომია მასწავლებელს ეხმარება მოსწავლის სწავლის პროცესის შესწავლაში. სოლო ტაქსონომიას აქვს 5 დონე:



სოლო - სად ვარ მე?



პრესტრუქტურული - არ  
შემოძლია, დახმარება  
მჭირდება

უნისტრუქტურული -  
მეშემიძლია -  
მარტივი  
ინსტრუქციის  
შესრულება,  
დასათაურება

მულტისტრუქტურული -  
ტურული  
მეშემიძლია  
აღწერა,  
გამოთვლა

მიმართებითი -  
მეშემიძლია  
ასწა, ანალიზი.

გაფართოებული  
აბსტრაქტული -  
მეშემიძლია - შექმნა,  
შეფასება,



# თემატური მატრიცები

X კლასი, II ნაწილი

## თემა 2. რესურსების გამოყენებისა და მართვის გლობალური კანონზომიერებები

სამიზნე ცოდნა / ცოდნის სტრუქტურა, რომელიც მოსწავლემ თემის ფარგლებში უნდა შეიძინოს.

### შუალედური მიზანი 1

- შუალედური მიზნის სტრუქტურა;
- კომპლექსური დავალების პირობა; რეკომენდაციები კომპლექსური დავალების შესასრულებლად.

### შუალედური მიზანი 2

- შუალედური მიზნის სტრუქტურა;
- კომპლექსური დავალების პირობა; რეკომენდაციები კომპლექსური დავალების შესასრულებლად.

### შუალედური მიზანი 3

- შუალედური მიზნის სტრუქტურა;
- კომპლექსური დავალების პირობა; რეკომენდაციები კომპლექსური დავალების შესასრულებლად.

### შუალედური მიზანი 4

- შუალედური მიზნის სტრუქტურა;
- კომპლექსური დავალების პირობა; რეკომენდაციები კომპლექსური დავალების შესასრულებლად.

### შუალედური მიზანი 5

- შუალედური მიზნის სტრუქტურა;
- კომპლექსური დავალების პირობა; რეკომენდაციები კომპლექსური დავალების შესასრულებლად.

### განმავითარებელი შეფასება

- შემაჯამებელი დავალება/სადიაგნოსტიკო შეფასება;
- ინსტრუმენტები განმავითარებელი შეფასებისთვის;
- დამატებითი ინფორმაცია შესასწავლ საკითხებთან დაკავშირებით მასწავლებლისთვის.

## თემა 2. რესურსების გამოყენებისა და მართვის გლობალური კანონზომიერებები

თემა: რესურსების გამოყენებისა და მართვის გლობალური კანონზომიერებები საათების სავარაუდო რაოდენობა –				
სამიზნე ცოდნა / ცოდნის სტრუქტურა, რომელიც მოსწავლემ თემის ფარგლებში უნდა შეიძინოს				
სამიზნე ცნება	ქვეცნება	მაგალითი თემის ფარგლებში/ ქვესაკითხები	ტრანსფერის არეალი/ კი/არა მაგალითები	თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები (განზოგადებები თემის ფარგლებში)
მდგრადი განვითარება	რაციონალური ბუნებათსარ-გებლობა	ტყის რესურსები, ბიომრავალ-ფეროვნება, რესურსუზრუნ-ველყოფა	ამაზონის ტყეებისა და საქართველოს ტყეების შედარება	<p>თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით მოსწავლემ უნდა შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• რესურსების გამოყენებასა და მართვაზე მსჯელობისას მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინება (გაუდაბნოება, ნარჩენების მართვა, მდგრადი ტურიზმი).</li> </ul>
გეოგრაფიული გარსი	ბიოსფერო	ტყის ბიომასა	ტაიგისა და ჰილეების შედარება	<ul style="list-style-type: none"> <li>• გააანალიზოს რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული პროცესებისა და პრობლემების (მაგ., რესურსების არათანაბარი განაწილება და რესურსუზრუნველყოფა) ზეგავლენა გეოგრაფიულ გარსზე.</li> </ul>

**შუალედური მიზანი 1**  
**შუალედური მიზნის სტრუქტურა**

ძირითადი საკითხი	პროდუქტი	განსახილველი შემთხვევა / მაგალითი	საკვანძო შეკითხვა	სახელმძღვანელო / დამსარე რესურსები
ამაზონის ტყეები – „პლანეტის ფილტვები“	პოსტერის შექმნა ამა- ზონის ტყეე- ბის მნიშვნე- ლობასთან დაკავშირე- ბით	ამაზონის ტყეები – „პლანეტის ფილტვები“	რატომ არის მნიშვნელოვანი რესურსი ამაზონის ტყეები დედამიწისთვის და რა პრობლემების წინაშე დგას დღეს ეს რესურსი?	სახელმძღვანელო – § 1, § 4
სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:		შეფასების კრიტერიუმები  მოსწავლეს შეუძლია:		კომპლექსურ დავალებასთან მიმარ- თებით დაკონკრეტებული  ნაშრომში / ნაშრომის პრეზენტა- ციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:
გეოგრაფიული გარსი  1. გეოგრაფიული გარსი შედგება გეოსფერობისაგან (ლითოსფერო, ატმოსფერო, ჰიდროსფერო, ბიოსფერო), რომელთაც ახასიათებთ მთელი რიგი კანონზომიე- რები.  2. ადამიანების წყალობით ყალიბდება ნოოსფერო (გონის სფერო), რომელიც ზემოქმედებს სხვა გეო- სფეროებზე.	გეოგრაფიული გარსი:  • გააანალიზოს ამაზონის ჰი- ლეების, როგორც ბიოლოგიუ- რი რესურსის მნიშვნელობა (გეოგრაფიული გარსი, მ.ნ. 1);  • იმსჯელოს ამაზონის ტყეების პრობლემებზე და მის გამომ- წვევ მიზეზებსა და შედეგებზე (გეოგრაფიული გარსი, მ.ნ.1; მდგრადი განვითარება, მ.ნ.2 );  • გააანალიზოს ადამიანის გავლენა და როლი ჰილეების პრობლემების წარმოქმნისა და მოგვარების კუთხით (გეო- გრაფიული გარსი, მ.ნ.2);  • იმსჯელოს და ერთმანეთს შეადაროს იმ ლონისძიებების ეფექტურობა და მნიშვნე- ლობა, რომელიც ტარდე- ბა ჰილეების პრობლემების მოგვარების მიზნით (მდგრადი განვითარება, მ.ნ.1, 2).	პოსტერში უნდა ჩანდეს:  • რატომ არის ამაზონის ჰილეე- ბი მნიშვნელოვანი ბუნებრი- ვი რესურსი (გეოგრაფიული გარსი, მ.ნ.1);  • როგორ აისახება ჰილეე- ბის ფართობების შემცირება გეოგრაფიული გარსის კომპო- ნენტებზე (კლიმატზე, ბიომ- რავალფეროვნებაზე, ნიადა- გის დეგრადაციაზე და სხვ.) (გეოგრაფიული გარსი, მ.ნ.1; მდგრადი განვითარება, მ.ნ.2);  • რაში მდგომარეობს ადამიანის ზემოქმედებით გამოწვეული პრობლემების არსი ჰილეებთან მიმართებით (გეოგრაფიული გარსი, მ.ნ.2);  • რამდენად მნიშვნელოვანია ტყეების დაცვა მდგრადი გან- ვითარების მიზნების შესრუ- ლებისთვის და რა ლონისძიე- ბები შეიძლება გატარდეს მომავალში ამაზონის ტყეების პრობლემების მოსაგვარებლად (მდგრადი განვითარება, მ.ნ.1; 2).		

**კომპლექსური დავალების პირობა:** ტყე უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი რესურსია, რომელსაც ადამიანი უხსოვარი დროიდან იყენებს სხვადასხვა მიზნით. მას ხმელეთის ფართობის დაახლოებით 30% უჭირავს, თუმცა ბოლო პერიოდში კატასტროფულად მცირდება მათი ფართობი. ეს განსაკუთრებით ესება ამაზონის უნიკალურ ტყეებს, რომელსაც „პლანეტის ფილტვებს“ უწოდებენ. წარმოიდგინე, რომ გამოდიხარ გაეროს სამიტზე, რომელიც ეძღვნება მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებას და უნდა წარმოადგინო პოსტერი, სადაც ასახავ ამაზონის ტყეების მნიშვნელობასა და თანამედროვე პრობლემებს და დაუკავშირებ მას მდგრადი განვითარების მიზნებს.

### პოსტერში უნდა ჩანდეს:

- რატომ არის ამაზონის ტყეები მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსი? – გეოგრაფიული გარსი, მ.6.1;
- როგორ აისახება ტროპიკული ტყეების ფართობების შემცირება გეოგრაფიული გარსის კომპონენტებზე (კლიმატზე, ბიომრავალფეროვნებაზე, ნიადაგის დეგრადაციაზე და სხვ.)? – გეოგრაფიული გარსი, მ.6.1; მდგრადი განვითარება, მ.6.2;
- რაში მდგომარეობს ადამიანის ზემოქმედებით გამოწვეული პრობლემების არსი ტყეებთან მიმართებით? – გეოგრაფიული გარსი, მ.6.2;
- რამდენად მნიშვნელოვანია ტყეების დაცვა მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებისთვის და რა ღონისძიებები შეიძლება გატარდეს მომავალში ამაზონის ტყეების პრობლემების მოგვარების მიზნით? – მდგრადი განვითარება, მ.6.1; 2.

**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)**

#### ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

რესურსი 1. პოსტერის მომზადება – <http://mastsavlebeli.ge/?p=7931>

რესურსი 2. ვიდეოინსტრუქცია – <https://www.youtube.com/watch?v=mdrPxMSZqlA>

რესურსი 3. ვიდეოინსტრუქცია – <https://www.youtube.com/watch?v=i6L62heqvrg>

#### კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

- რა არის პოსტერი?
- რისთვის და როგორ იქმნება პოსტერი?
- როგორ დაგვეხმარება პოსტერი შესასწავლი საკითხის უკეთ წარმოჩენაში?
- როგორი სტრუქტურა უნდა ჰქონდეს პოსტერს?
- რა ნაბიჯები უნდა გადავდგათ პოსტერის შესაქმნელად?
- სხვა დროს თუ შეგიქმნიათ მსგავსი ფორმის ან შინაარსის პროდუქტი?

#### ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

##### სამიზნე ცნება – გეოგრაფიული გარსი

ქვესაკითხი – ტყის ფართობის ცვლილების გავლენა გეოსფეროს კომპონენტებზე

სამიზნე ცნება – მდგრადი განვითარება

ქვეცნება – რაციონალური ბუნებათსარგებლობა

ქვესაკითხი – ბიომრავალფეროვნება

##### ნაბიჯი 1

- რატომ არის ამაზონის პილები მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსი (გ.გ. მ.6.1)?

რესურსი 1. რა არის ბუნებრივი რესურსები? – სახელმძღვანელო, პარაგრაფი 1;

რა არის ბიოლოგიური რესურსი? – სახელმძღვანელო, პარაგრაფი 3.

რესურსი 2. ამაზონის ტყე – <http://lobjana19.blogspot.com/>

რესურსი 3. ამაზონის ტყე – <https://intermedia.ge/სტატია/22897-ამაზონის-ტყე/167/>

**აქტივობა 1.** სქემის შექმნა - ბიოლოგიური რესურსების კლასიფიკაცია;

**აქტივობა 2.** სახელმძღვანელოს ტექსტისა და სურათების ანალიზი – როგორია ტყეების გავრცელების კანონზომიერებები;

**აქტივობა 3.** კონტურულ რუკაზე ტყის გავრცელების არეალების მონიშვნა.

- რა შედის ბიოლოგიურ რესურსებში?
- რა არის ბიომრავალფეროვნება?
- რა არის ბიომასა?
- რატომ არის ტყე უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი რესურსი?
- რა არის ჰილები?
- რომელ კონტინენტზე მდებარეობს ჰილები?
- რომელ კლიმატურ სარტყელსა და ბუნებრივ ზონას ემთხვევა ჰილების გავრცელების არეალი?
- რომელი ქვეყნები გამოირჩევა ტყის რესურსების სიუხვით?
- რა თავისებურებებით ხასიათდება ჰილების ფლორა და ფაუნა?
- რატომ უწოდებენ ჰილებს „დედამიწის ფილტვებს“?

## ნაბიჯი 2.

- როგორ აისახება ამაზონის ტყეების ფართობების შემცირება გეოგრაფიული გარსის კომპონენტებზე (კლიმატზე, ბიომრავალფეროვნებაზე, ნიადაგის დეგრადაციაზე და სხვ.) – გეოგრაფიული გარსი, მ.ნ.1; მდგრადი განვითარება, მ.ნ.2;
- რაში მდგომარეობს ადამიანის ზემოქმედებით გამოწვეული პრობლემების არსი ამაზონის ტყეებთან მიმართებით? გეოგრაფიული გარსი, მ.ნ.2.

**რესურსი 1.** რატომ უნდა გადარდებდეთ ამაზონის ჯუნგლები? <https://go.on.ge/17cm>

**რესურსი 2.** ეკოლოგიური კატასტროფა ამაზონის ტყეებში;

<http://liberali.ge/articles/view/46020/ekologiuri-katastrofa-amazonis-tyeebshi>

**რესურსი 3.** ბოლო 50 წელიწადში ადამიანებმა ველური ბუნების 2/3 გაანადგურეს.

<https://go.on.ge/1sed>

**აქტივობა 4.** ცხრილის შედენა – ჰილების გავლენა გეოსფეროს სხვადასხვა კომპონენტზე;

**აქტივობა 5.** დისკუსია – „რატომ არის ბიომრავალფეროვნება ესოდენ მნიშვნელოვანი?“

- რა გავლენას ახდენს ტყე ატმოსფეროზე?
- როგორ ყალიბდება ჰილებში ნიადაგები და რა ინვეს მის ცვლილებას?
- რატომ გამოირჩევა ჰილები ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნებით?
- როგორ ხდება ჰილებში ნიადაგების ათვისება სამეურნეო თვალსაზრისით?
- რა საფრთხე შეიძლება დაემუქროს ამაზონის ტყეების ბიომრავალფეროვნებას?
- რა ადგილი უკავია ტყეს წყლის ბრუნვაში?
- რა სახის ზემოქმედებას ახდენს ადამიანი ტყის რესურსებზე?
- როგორ აისახება კონკრეტულად ჰილებზე ადამიანის ზემოქმედება?

### ნაბიჯი 3.

- რამდენად მნიშვნელოვანია ტყეების დაცვა მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების-თვის და რა ღონისძიებები შეიძლება გატარდეს მომავალში ამაზონის ტყეების პრობლემების მოგვარების მიზნით? – მდგრადი განვითარება, მ.ნ.1; 2.

**რესურსი 1.** გაუტყეურებამ პრაზილიის ამაზონის ტყეში ბოლო 15 წელში ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია; <https://go.on.ge/2l5f>

**რესურსი 2.** რას დაკარგავს მსოფლიო ამაზონის ხანძრების შედეგად? – გარემოსდამცველები კატასტროფის მძიმე შედეგებზე;

<https://www.ambebi.ge/article/237021-ras-dakargavs-msoplio-amazonis-xanzrebis-shedegad-garemosdamcvelebi-katastropis-mzime-shedegebz/>

**რესურსი 3.** ეკოლოგიური კატასტროფა ამაზონის ტყეებში;

<http://liberali.ge/articles/view/46020/ekologiuri-katastrofa-amazonis-tyeebshi>

**რესურსი 4.** ბრაზილია ამაზონის ტყეების შენარჩუნებისთვის წლიურად 10 მილიარდ დოლარს ითხოვს;


<https://www.bpn.ge/article/86502-brazilia-amazonis-tqeebis-shenarchunebistvis-cliurad-10-miliard-dolars-itxovs/>

**რესურსი 5.** მდგრადი განვითარება და მისი ასპექტები;

<https://www.civiceducation.ge/ka/lessons/3-27>

**აქტივობა 6.** სახელმძღვანელოზე მუშაობა – ტყის მავნებლებთან კომპლექსური ბრძოლის სქემის ანალიზი;

**აქტივობა 7.** „მომავლის იდეალი“;



- რატომ მცირდება ტყის ფართობი?
- რა საშიშროების წინაშე აღმოჩნდა ჰილები?
- რა იწვევს ხანძარს ჰილებში და რა შედეგი შეიძლება მოიტანოს მან?
- როგორ აისახა 2019 წლის მასშტაბური ხანძარი ამაზონის ტყის მრავალფეროვნებაზე?
- რა ზიანი შეიძლება მიაყენოს ტყეს მავნებლებმა?
- რა კომპლექსური ღონისძიებები ტარდება მავნებლების წინააღმდეგ საბრძოლველად?
- რომელ ბუნებისდაცვით ორგანიზაციებს იცნობ და რა გსმენია მათი საქმიანობის შესახებ?
- რა როლი აკისრია ტყეს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებაში?
- რას გულისხმობს მდგრადი განვითარების მე-15 მიზანი?
- რა გზებით ცდილობენ ხანძრით მიყენებული ზარალის ანაზღაურებას ადგილობრივი ხელი-სუფლება, გარემოსდაცვითი ორგანიზაციები და ბუნების ქომაგები?
- გაანალიზე მორფოლოგიური ყუთის დახმარებით ტყის პრობლემები, გამოყავი ცალკეული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.

**კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად**

#### **აღწერე, როგორ მიმდინარეობს / წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი.**

- როგორ გეგმავ/დაგეგმი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- დაგეხმარა თუ არა პირველადი გეგმა მუშაობის პროცესში?
- რა დეტალებზე აკეთებდი აქცენტს პოსტერის მომზადებისას?
- წარიმართა თუ არა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი დაგეგმილის შესაბამისად?
- გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველად შემუშავებულ გეგმაში ცვლილებების შეტანა?
- რატომ არის საჭირო დავალების პირველადი ვერსიის შექმნა?
- რით განსხვავდება შესრულებული დავალების პირველადი ვერსია საბოლოოსგან?
- რა ფაქტორებმა გამოიწვია/შეუძლია გამოიწვიოს პირველადი დასკვნების გადასინჯვა?
- რა პროდუქტი შექმნი კომპლექსური დავალების სახით?
- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი პოსტერია?

#### **ახსენი, რატომ შექმნი პოსტერი; რა საკითხის შესახებ გამოხატე შენი ცოდნა კომპლექსური დავალების საშუალებით?**

- რატომ განახორციელე კომპლექსური დავალება?
- რა გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებს ისახავდი მიზნად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- ვისთვის და რატომ არის ეს პროდუქტი სასარგებლო და საინტერესო?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?
- რა დასკვნებამდე მიხვედი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რით დასტურდება შენ მიერ გაკეთებული დასკვნების მართებულობა/თანმიმდევრულობა (მაგ.: პრობლემად ასახელებს ტყის ჩეხასა და ტყის ხანძრებს, მოჰყავს ფაქტები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ აისახება ეს ატმოსფეროში ნახშირორჟანგის დაგროვებაზე)?
- რა ხერხები გამოიყენე სასწავლო მასალის უკეთ გასააზრებლად? / კომპლექსური დავალების უკეთ შესასრულებლად?

**რა დაპრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?**

- ვის წინაშე იყავი ანგარიშვალდებული სამუშაო პროცესში (მასწავლებლის, თანაკლასელების, სამეზობლო თემის)?
- რა საერთო მიზანი გქონდათ შენ და შენს მასწავლებელს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- გქონდათ თუ არა შენ და შენს თანაკლასელებს საერთო მიზნები? იყო თუ არა საინტერესო და სასიამოვნო თქვენთვის კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი?
- რა გააკეთე დამოუკიდებლად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- ვინ და როგორ დაგეხმარა? ვისთან ითანამშრომლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში (რა დახმარება გაუწიე თანაკლასელებს / სამეზობლო თემის წევრებს / მასწავლებელს; რა მხარდაჭერა მიიღე მათგან)?
- წააწყდი თუ არა კონფლიქტურ სიტუაციებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ შეძელი კონფლიქტის დარეგულირება?
- წააწყდი თუ არა გაურკვევლობებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გაერკვიე ბუნდოვანებით მოცულ საკითხებში?
- შეხვდი თუ არა განსხვავებულ მოსაზრებებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რამდენად შეძელი თანამშრომლობა განსხვავებული შეხედულებების მქონე ადამიანებთან? რა დაგეხმარება, რომ უკეთ გაიგო თანაკლასელების, მასწავლებლის სათქმელი?
- გააანალიზე, რა წესებს / კანონებს იცავდი და რატომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში (მაგალითად, რამდენად მოახერხე განსხვავებული აზრის შემთხვევაში ორიენტირებული ყოფილიყავი პრობლემაზე და არა – კომუნიკაციაში ჩართულ ადამიანებზე? რით და როგორ გამოხატავდი ადამიანების მიმართ პატივისცემას კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში);
- ხვდები თუ არა თემში წინმსწრებად ჩამოყალიბებულ (დადებით, ან უარყოფით) დამოკიდებულებას შესწავლის ოპიექტად შერჩეული საკითხისადმი? რა განაპირობებს ასეთი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას?
- რით დაგეხმარა მასწავლებლთან, სხვა მოსწავლეებთან დიალოგი კომპლექსური დავალების შესრულებაში?
- რით შეიძლება დახმარება გაუწიოს შენმა შეკითხვებმა თანაკლასელებს სათქმელის უკეთ ჩამოყალიბებაში?
- რა ფაქტორები გაითვალისწინე / უნდა გაითვალისწინო იმისათვის, რომ შენი კომპლექსური დავალების პრეზენტაცია მსმენელისთვის გასაგები და მისალები იყოს (მაგ.: ფუნქციური სამეტყველო ქმედების (თხრობა, აღწერა, მსჯელობა) სწორად შერჩევა, სენსიტიური ნიუანსების წინ წამოწევა; ჟესტიკულაციის, მიმიკის, არავერბალური სიგნალების გამოყენება)?
- გამოიყენე თუ არა ტექნილოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარა ტექნილოგიების გამოყენება?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან? როგორ წარმოაჩენ ამ განსხვავებებს შეკითხვების სახით?
- შეაფასე, რამდენად გამოგივიდა ის, რაც მასწავლებლისგან გქონდა დავალებული.

## თემა 2. თემა: რესურსების გამოყენებისა და მართვის გლობალური კანონზომიერებები

თემა: რესურსების გამოყენებისა და მართვის გლობალური კანონზომიერებები  
საათების სავარაუდო რაოდენობა – 32-36

სამიზნე ცოდნა / ცოდნის სტრუქტურა, რომელიც მოსწავლემ თემის ფარგლებში უნდა შეიძინოს

სამიზნე ცნება	ქვეცნება	მაგალითი თემის ფარგლებში/ ქვესაკითხები	ტრანსფერის არეალი/ კი/არა მაგალითები	თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები (განზოგადებები თემის ფარგლებში)
მდგრადი განვითარება	ალტერნატიული ენერგიის წყაროები	ენერგიის ალტერნატიული წყაროები – ქარის ენერგია, მიქცევა-მოქცევის ენერგია და ა.შ.	მზისა და ქარის ენერგიის შედარება	რესურსების გამოყენებასა და მართვაზე მსჯელობისას მომავალი თაობების ინტერესების გათვა-ლისწინება (გაუაპნოება, ნარჩენების მართვა, მდგრადი ტურიზმი)

### შუალედური მიზანი 2

#### შუალედური მიზნის სტრუქტურა

ძირითადი საკითხი	პროცესები	განსახილველი შემთხვევა / მაგალითი	საკვანძო შეკითხვა	სახელმძღვანელო / დამხმარე რესურსები
ბუნებრივი პირობები და რესურსები მზის ენერგია	SWOT ანალიზი	მზის ენერგია. მსოფლიოს გამოცდილება და საქართველოს ენერგეტიკული პერსპექტივები	რატომ არის მნიშვნელოვანი ალტერნატიული ენერგიის წყაროების (მზის ენერგია) გამოყენება?	სახელმძღვანელო – §1-7
სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:		შეფასების კრიტერიუმები მოსწავლეს შეუძლია:		კომპლექსურ დავალებასთან მიმართებით დაკონკრეტებული ნაშრომში / ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:
- ხმელეთის წყლებით საქართველო ერთ-ერთი წყალუხვი ქვეყანაა მსოფლიოში. წყლის რაციონალური გამოყენების შემთხვევაში ქვეყნის ეკონომიკაში ელექტროენერგიის გამომუშავება გაიზრდება, ასევე, გაფართოვდება სასმელი წყლის ექსპორტი;
- წყალუზრუნველყოფისთვის მთავარია წყლის ეკონომიურად გამოყენება, დანაკარგების შემცირება უახლესი ხერხებისა და ტექნოლოგიების დანერგვის გზით.



1. ოკეანის შელფური ნაწილი და სინათლის ზონა განსაკუთრებით მდიდარია რესურსებით.
2. არსებობს ოკეანის დაბინძურების მრავალი მიზეზი. მათთან პრძოლა მუდმივად მიმდინარეობს. დამაბინძურებლებიდან შეიძლება გამოიკვეთოს რამდენიმე: ნავთობპროდუქტები, მდინარეების ჩატანილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები, პესტიციდები და ქიმიური ნივთიერებები. ოკეანის დაცვა დღესდღეობით საკმაოდ რთული პროცესია. ერთი სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ქმედება შედეგს ვერ გამოიღებს, რადგან მსოფლიო ოკეანე ერთიანია და მუდმივად ხდება წყლის მოძრაობა.
3. ოკეანის წყალში არის ორგანიზმების სიცოცხლისათვის საჭირო ყველა აუცილებელი ნივთიერება. ოკეანეში სიცოცხლე ყველაზე ყველაზე კი, სადაც წარმოიქმნება დედამინის ახალი ქერქი, მაღალი ტემპერატურა და დიდი წნევაა, სადაც დედამინის სილრმიდან რღვევების გავლით ცხელი მაგმა აღწევს.

## § 6. კლიმატური და კოსმოსური რესურსები



- საქართველო ახლა იწყებს ჰელიოპანელების აქტიურად გამოყენებას. ამიტომ მისი შედარებით დიდი მასშტაბები ძირითადად შეიმჩნევა მსხვილ სანარმოებსა და მეურნეობებთან, საცხოვრებელი სახლებისა თუ მაღალი შენობების სახურავებზე ქ. თბილისში, სანატორიუმებთან (შოვი), ხურვალეთი და ა.შ;
- ქარის ელექტროსაფეურების დადებითი მხარეები: იაფი ელექტროენერგია და სადგური, რომელიც არ აჭუჭყანებს გარემოს;  
უარყოფითი მხარეები: ქარს ყველგან ერთნაირი სიძლიერე და მუდმივობა არ გააჩნია, მისი ხმაური უარყოფითად მოქმედებს ფრინველებზე;
- ჟანგბადის შემცირებას მოჰყვება ატმოსფეროში ნახშირორჟანგის რაოდენობის ზრდა, განსაკუთრებით, ზედა ფენებში. თავის მხრივ, ეს გამოიწვევს ტემპერატურის მატებას ქვედა ფენებში, რაც განაპირობებს პოლუსებზე ყინულის ინტენსიურ დონბას, მსოფლიო ოკეანის დონის აწევასა და დასახლებული ადგილების წყლით დაფარვას.
- კოსმოსური წყალი შეიძლება გარდაიქმნას სარაკეტო საწვავად, რაც შეამცირებს კოსმოსური მისიების ღირებულებას.



კოსმოსური რობოტი, რომელიც აღმოაჩენს რესურსებით მდიდარ ასტეროიდს, მიუახლოვდება მას, ჩაუშვებს ქანების საჭრელ დანადგარს და მოქრის წიაღისეულს.

## § 7. რეკრეაციული რესურსები



- დახარჯული ენერგიის აღდგენა ადამიანისათვის აუცილებელია. ამისათვის ის მიმართავს დასასვენებელ და რეკრეაციულ ადგილებს: ბალნეოლოგიურ ან კლიმატურ კურორტებს, ასევე, ტურისტულ ადგილებს;
- სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციისა და ურბანიზაციის ეპოქაში ადამიანი დაძაბულად შრომობს, ამიტომ მას პერიოდულად სჭირდება განტვირთვა კარგად მოწყობილ ტურისტულ-რეკრეაციულ ინფრასტრუქტურაში, რომელიც შერწყმული იქნება კულტურულ და ისტორიულ ღირსშესანიშნაობებთან. მდიდარი ბუნება ადამიანს საშუალებას აძლევს, რომ დაისვენოს. აღიდგინოს სულიერი და ფიზიკური ძალები. ბოლო დროს მთელ მსოფლიოში გახშირდა ტურისტული მოგზაურობები. ეს მოვლენა „რეკრეაციის ბუნის“ სახელწოდებითაა ცნობილი.

## § 8. მოსახლეობის სიმჭიდროვე



- მოსახლეობის სიმჭიდროვე არის ქვეყანაში განსახლებული ადამიანების რაოდენობა 1 კმ<sup>2</sup>-ზე, რაც სახელმწიფოს ბუნებრივი, ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის მაჩვენებელია. მოსახლეობის სიმჭიდროვის გამოსათვლელად საჭიროა ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობის გაყოფა სახელმწიფოს ფართობზე;
- აღმოსავლეთაზიური არეალი გამოიჩინება მოსახლეობის დიდი რაოდენობით (2 მლრდ კაცი). ამის მიზეზია რეგიონის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები, რესურსების სიმრავლე, სწრაფი ეკონომიკური წინსვლა – ინდუსტრიალიზაცია, მაღალი შობადობა; სამხრეთაზიური არეალიც მოსახლეობის სიმრავლით ხასიათდება (მლრდ-ზე ცოტა მეტი), თუმცა მას უსწრებს აღმოსავლეთი აზია. მიუხედავად ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებისა და მაღალი ბუნებრივი მატებისა, სამხრეთაზიურ არეალში მრეწველობა ნაკლებადაა განვითარებული, რაც ინვევს მიგრაციას. სწორედ არასტაბილური ეკონომიკა და მიგრაცია მიზეზი, რომ მოსახლეობა შედარებით ნაკლებია.
- მაღალი სიმჭიდროვის მქონე განვითარებად ქვეყნებში წარმოიქმნება უმუშევრობის, ჯანდაცვის, განათლებისა და სხვა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები.



მე-7 სურათის მიხედვით ჩანს, რომ დედამინაზე მოსახლეობა არათანაბრად არის განსახლებული. მაღალი სიმჭიდროვით გამოიჩინება სამხრეთი, აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია, ევროპა, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში ოკეანის სანაპირო ზონები. თუ ამ ობიექტებს ბუნებრივი ზონების მიხედვით დავაჯვაფებთ, აღმოჩნდება, რომ მოსახლეობის სიმჭიდროვით გამოიჩინება ზომიერი და სუბტროპიკული სარტყელების ხეშეშფოთლიანი, ფართოფოთლოვანი და შერეული ტყეების ბუნებრივი ზონები.

## § 9. ეკომიგრაცია



- ეკომიგრაციის გამომწვევი მიზეზებია: ბუნებრივი კატაკლიზმები; ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც ითვალისწინებენ გარემოს შეცვლას; ინდუსტრიული უბედური შემთხვევები; შეიარაღებული კონფლიქტები; ბუნების პროგრესული ევოლუცია, ტექნოგენური კატასტროფები;
- ეკომიგრანტთა ზუსტი აღრიცხვა შეუძლებელია, რადგან უნდა დაზუსტდეს გარდაცვლილთა, ასევე, სხვა ქვეყნებში გასულთა რაოდენობა. ეს კი მოითხოვს დროსა და სპეციალური სამსახურების შექმნას, რომელთაც დაევალება, ამ სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვა;
- გლობალურმა დათბობამ, ასევე, ბუნებრივი რესურსების არარაციონალურმა გამოყენებამ (ანთროპოგენური ფაქტორი) ხელი შეუწყო სტიქიური მოვლენების გააქტიურებას საქართველოს მრავალ რეგიონში, რამაც გაზარდა სტიქიოთ დაზარალებულთა რიცხვი;
- თუ სახელმწიფო ჩატარებს ისეთ ღონისძიებებს, რომელთა შედეგადაც მოსახლეობა თავს დაცულად იგრძნობს, ეკომიგრანტები აუცილებლად დაუბრუნდებიან თავიანთ ძველ საცხოვრებელ ადგილებს. ამისათვის უნდა გაიწმინდოს და, თუ საჭიროა, გამაგრდეს და აღდგეს დაზიანებული ადგილები, აუცილებელი კომუნიკაციები.



[http://weg.ge/sites/default/files/rezo\\_getiashvili.pdf](http://weg.ge/sites/default/files/rezo_getiashvili.pdf)



## § 10. მდგრადი ტურიზმი



- ტურიზმის განვითარების დადებითი მხარეებია: ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარება, მოსახლეობის დასაქმება, ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბება, კულტურათა სინოეზი, გარემოს დაცვა და დაცული ტერიტორიების გაფართოება/მოწყობა;
- ვინაიდან მსოფლიოში სწრაფად იცვლება ეკონომიკური და ბიზნესპროცესები, მდგრად და საერთაშორისო ტურებს მსოფლიო ბიზნესის ფენომენად აღიარებენ;
- მდგრადი ტურიზმი უნდა უზრუნველყოფდეს მდგრადი განვითარების სამივე კომპონენტს: ეკონომიკურს, სოციალურსა და ეკოლოგიურს. თუ ამ კომპონენტების რღვევა დაიწყება და სისტემურ ხასიათს მიიღებს, მაშინ აუცილებლად უნდა გადაიხედოს მდგრადი ტურიზმის ძირითადი მიმართულებები და დაისახოს პრობლემის გადაჭრის გზები;
- ინკლუზიურ ტურიზმში იგულისხმება მდგრადი პროდუქტებისა და სერვისების გაფართოება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით.



<https://mtisambebi.ge/news/people/item/414-sheiqmna-turistuli-marshrulebis-pirveli-eleqtronuli-ruka>



### სტეფანემინდა — ბეთლემის ქოხის მარშრუტი

მარშრუტი იწყება დაბა სტეფანემინდის ცენტრში, გადადის მდინარე თერგზე გადებულ სამანქანო ხიდს (ზღვის დონიდან 1720 მ) და მარცხნივ უხვევს სოფელ გერგეტისკენ. სამანქანე გზით

გაივლით სოფელს და სოფლის მარცხენა განაპირას ბილიკს აჰყვებით, რომლითაც გახვალთ გერგეტის სამების წინ მდებარე პლატოზე. მარცხნივ, ეკლესისკენ, მიემართება სამანქანე გზა, მისი საშუალებით მიჩვალთ და მონახულებთ გერგეტის სამების ეკლესისა. დაბუნდებით გზაგასაყართან და აქედან გაჰყვებით საფეხმავლო ბილიკს, რომელიც ადის აღმართზე, ერთხანს თხემს მიუყვება, მერე – ფერდობს, აივლის საკმაოდ გრძელ აღმართს და გადის უნაგირზე, რომელზეც აშენებულია ქვის ნიში (ზღ.დ. 3000 მ). ამის მერე ბილიკი ერთხანს დამტმა ეშვება, მერე აუყვება მდინარე ჩხერის ნაპირს, მალევე მკვეთრად უხვევს მარჯვნივ, გადაკვეთს ნაკადს და მიემართება მყინვარ გერგეტისკენ. მყინვარის გავლის შემდეგ მარშრუტი სრულდება ბეთლემის ქოხთან.

## § 11. გაუდაბნოება



- სასურველია, მოსწავლემ ისაუბროს იმაზე, რომ დედამიწის მნიშვნელოვანი ნაწილი გაუდაბნოებულია. გაუდაბნოების დროს მიმდინარეობს სხვადასხვა უარყოფითი პროცესი: მცენარეთა საფარის გაქრობა, ცხოველთა მიგრაცია, მღამშობების წარმოქმნა, ნიადაგის გადარეცხვა და გამოფიტვა, მოსავლიანობის შემცირება, წყალსაცავებში მცენარეთა და ცხოველთა კვდომა, მოსახლეობის მიგრაცია;
- გაუდაბნოების გააქტიურება გამოიწვია როგორც კლიმატურმა – გლობალურმა დათბობამ, ისე სხვა ბუნებრივმა ფაქტორებმა და ადამიანის საქმიანობამ;
- ინტენსიური სოფლის მეურნეობის დროს გამოიყენება სხვადასხვა ქიმიური და აზოტოვანი სასუქი, ასევე, ხშირია მოსავლის არამონაცვლეობით მოყვანა. გაუდაბნოების პროცესს აგრეთვე იწვევს ინტენსიური გადაძოვება;
- ნიადაგის აღსადგენად უამრავი ხერხი არსებობს: ირიგაცია-მელიორაცია, დატერასება, ქიმიზაცია, განაშენიანება.



გაუდაბნოების წინააღმდეგ საბრძოლველად ცნობიერების ამაღლების მიზნით, სასურველია, მოსწავლემ გამოსცეს ბროშურა, სადაც ყურადღება იქნება გამახვილებული (მისთვის ნაცნობი) გაუდაბნოების გამომწვევ მიზეზებზე, ხელშემწყობ ფაქტორებზე, შედეგებსა და პრევენციაზე.

## § 12. ნარჩენების მართვა



- ნარჩენები სერიოზულ პრობლემას უქმნის ადამიანის სასიცოცხლო გარემოს, მის ჯანმრთელობას. აქედან გამომდინარე, ზიანის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია ნარჩენების მართვა და სრული უტილიზაცია;
- 3R-ს დაემატა კიდევ ორი პრინციპი – 2R იმისთვის, რომ სრულყოფილი გახდეს ნარჩენების მართვა. 4R ნიშავს, რომ ნარჩენებისაგან მიიღება ელექტროენერგია, 5R კი – ნარჩენები განთავსდება მიწის ზედაპირზე, სპეციალური მეთვალყურეობით;
- საქართველოში ვერ ხორციელდება ნარჩენების მართვის მასშტაბური პროექტები, თანხების უქონლობის გამო. ნარჩენები იყრება არაოფიციალურ ნაგავსაყრელებზე – უახლოეს ხევებში, გზის პირას და მდინარეთა ნაპირებზე. ამას ემატება მოსახლეობის არაინფორმირებულობა ნარჩენების უარყოფითი გავლენის შესახებ ბუნებასა და თავად მოსახლეობაზე;
- ბოლო წლებში განხორციელებული პროექტების შედეგად ვითარება შეიცვალა. თბილისა და რუსთავში ამოქმედდა ევროპული სტანდარტების შესაბამისი მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელები. ასევე, 2019 წელს თბილისში გაჩნდა სივრცე (ცენტრი), სადაც ხდება ნარჩენების შეგროვება, დახარისხება და ახალი პროდუქციის შექმნა.

# მოსწავლის რეულში მოცემულ დავალებათა პასუხები

## §(1) ბუნებრივი პირობები და რესურსები

### 1.

გეოგრაფიული გარემო მუდმივად განიცდის ცვლილებას ბუნებრივი თუ ანთროპოგენური პროცესების შედეგად. ბუნებრივი პროცესების უარყოფითი შედეგია: რელიეფის ცვლილება, ნიადაგის დეგრადაცია – მოსწორება, ასევე, მცენარეთა და ცხოველთა მიგრაცია.

ლანდშაფტის ანთროპოგენური გარდაქმნის დადებითი მხარეა ის, რომ ადამიანი იკავოფილებს საყიდეაცხოვრებო და სოციალურ მოთხოვნებს – მშენებს სახლს, გაჰყავს გზები, აწყობს ინფრასტრუქტურას; მაგრამ ამას მოსდევს უარყოფითი შედეგიც – ხდება გარემოს ხელყოფა, იკარგება ნაყიდვები ნიადაგები და სხვ.

### 2.

გ) ბუნებრივი რესურსები;

### 3.

როდესაც ადამიანთა დასახლება ხდება გარკვეულ ტერიტორიაზე, იწყება სხვადასხვა შენობების, ფაბრიკების, ქარხნების, კორპუსების და ინფრასტრუქტურის მშენებლობა. ეს კი მოითხოვს არსებული ბუნებრივი პირობების შეცვლას, ტყის გაჩეხას, ტერიტორიის მოსწორებასა და დამუშავებას. რაც იწვევს ბუნების დაზიანებას და დეგრადაციას. იცვლება მთლიანად არსებული გეოგრაფიული (ბუნებრივი) გარემო.

### 4.

1. სანატორიუმი
2. მდინარის ხეობა
3. პარკი
4. ტყე
5. ქალაქი

	ა	ბ
1		✓
2	✓	
3		✓
4	✓	
5		✓

### 5.

ა) დასავლეთ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანა; აზიაში: ჩინეთი, ინდოეთი; აფრიკის ტერიტორიაზე – ეკვატორული აფრიკის ქვეყნები: ნიგერია, კოტ დიუვარი, გვინეა და სხვ.; სამხრეთ ამერიკაში კი – კოლუმბია, ვენესუელა, ბრაზილიის სამხრეთ სანაპიროს ნაწილი; ჩრდილოეთ ამერიკაში აშშ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო და მექსიკის სამხრეთი ნაწილი.

ბ) ეს ის ქვეყნებია, სადაც მაქსიმალურად ხდება ტერიტორიების ათვისება მოსახლეობის მიერ, რასაც შედეგად მოსდევს გაუდაბნოება, ბუნების დაზიანება, ურბანული დასახლებების გაჩენა, ინფრასტრუქტურის მოწყობა. ყოველივე ეს განაპირობებს გარემოს ეკოლოგიურ დაბინძურებას.

**6.**

ბუნებრივი რესურსები			
ლითოსფერული	ჰიდროსფერული	ბიოსფერული	ატმოსფერული
მიწის, მინერალური	წყლის (ყველაზარი)	ცხოველები, მცენარეები, სოკოები	კლიმატური, კოსმოსური

**7.**

- ა) ქვანახშირი, ნავთობი, ოქრო, რკინა;
- ბ) ნიადაგი, მცენარე, წყალი.

**8.**

ადამიანის საქმიანობა, ცხოვრებისეული დონის ამაღლება და შემცირებულია რესურსების სწორად მოხმარებაზე. მათი მნიშვნელობა დიდია. ამიტომ ათვისებული ბუნებრივი რესურსები რაციონალურად და სწორად უნდა იქნეს გამოყენებული, რათა წლების განმავლობაში მართებულად მოხდეს მათი მოხმარება საჭირო მიზნებისათვის.

**9.**

კაცობრიობის განვითარების საწყის ეტაპზე გარემო პირობების შეცვლაში გადამწყვეტ როლს ბუნებრივი ფაეტონები ასრულებდა. შრომის იარაღების გამოგონებამ და მოხმარებამ გამოიწვია ბუნებრივი პირობების შეცვლა. განსაკუთრებით აღსანიშნავია **XX** საუკუნე.

## §(2) რესურსების არათანაბარი განაწილება და რესურსუზრუნველყოფა

### 1.

საუკუნეების წინათ, ბუნებრივი რესურსების აღმოჩენისთანავე, ადამიანებს გაუჩინდათ სურვილი, მოქმედებინათ და გამოეყენებინათ ბუნებრივი დოვლათი. რესურსების მისაკუთრებისა და მათზე მონოპოლიის სურვილი მეტებისა და კონფლიქტების საბაზი ხდებოდა. ამის მაგალითია ახლო აღმოსავლეთი, სადაც ნავთობის გამო ხშირი იყო კონფლიქტები.

ნავთობი დღესდღეობით ყველაზე ძვირფასი სასარგებლო წიაღისეულია, რომელსაც მეორენაირად „შავ ოქროს“ უწოდებენ. არ არსებობს სფერო, რომელიც ნავთობისგან დამზადებულ პროდუქტს არ იყენებს; ამიტომ ამ რესურსის როლი მსოფლიო ეკონომიკაში ძალზე დიდია. მისი ფასის (როგორც მოპოვებაზე, ასევე გატანაზე) ცვლილება მაღლევე აისახება ეკონომიკაზე, რაც გლობალურ გავლენას ახდენს მსოფლიო ბაზარზე.

### 2.

ნავთობის მარაგის ასეთი განაწილება გამოწვეულია იმით, რომ აქ არის ბოლო პერიოდში აღმოჩენილი ნავთობი, როგორც შელფურ ნაწილში, ისე შიდა ოკეანურ წყლებში. აქ სხვა რეგიონებთან შედარებით მეტია მარაგი. სპეციალისტების აზრით, წლების განმავლობაში სწორედ ეს რეგიონი იქნება კვლავ წამყვანი, ნავთობის მოპოვებაში.

### 3.

იაპონია მაღალგანვითარებული ქვეყანაა, რომელიც ბუნებრივი რესურსების დიდი მარაგით არ გამოირჩევა. თუმცა თანამედროვე ეტაპზე ეს ქვეყნის განვითარებას პრობლემას არ უქმნის. იაპონია საკუთარ რესურსებს იყენებს გონივრულად, დეფიციტურ ნედლეულს ხელსაყრელი პირობებით ყიდულობს სხვა ქვეყნებში, რისი მეშვეობითაც განვითარა მრეწველობა და მაღალი ტექნოლოგიები. ტექნოლოგიებისა და მანქანათმშენებლობის განვითარების ხარჯზე აბალანსებს ამ ნაკლებობას. ამიტომ წლების განმავლობაში ასეთი სწორი ეკონომიკური მექანიზმით მისი განვითარების დონე მუდამ მაღალია. ქვეყანა არის დიდი შვიდეულის ერთ-ერთი სახელმწიფო.

### 4.

წლების განმავლობაში, საზოგადოების განვითარებასთან ერთად, იზრდებოდა ინტერესი და მოთხოვნა ბუნებრივი რესურსებზე, რამაც გაამძაფრა ინტერესი რესურსებისადმი, მათი მისაკუთრებისა და მონოპოლიურად განკარგვის სურვილი. ამის გამო ხდებოდა კონფლიქტები და ომები, როგორც სახელმწიფოებს შორის, ასევე თავად ქვეყნის შიგნით. ამის მაგალითია ახლო აღმოსავლეთი, სადაც ნავთობის გამო ხშირია დავა და კონფლიქტი.

### 5.

მოსწავლემ სასურველია აღნიშნოს: ქუვეითი, საუდის არაბეთი, ირანი, არაბთა გაერთიანებული საემიროები, ვენესუელა, აშშ, გაერთიანებული სამეფო.

### 6.

- ① ბუნებრივი რესურსის კატეგორია – ენერგეტიკული  
ბუნებრივი რესურსის სახეობა – ნავთობი
- ② ბუნებრივი რესურსის კატეგორია – ენერგეტიკული  
ბუნებრივი რესურსის სახეობა – ქვანახშირი
- ③ ბუნებრივი რესურსის კატეგორია – მადნეული  
ბუნებრივი რესურსის სახეობა – სპილენძი

④ ბუნებრივი რესურსის კატეგორია – არამაღლეული

ბუნებრივი რესურსის სახეობა – ოქრო

## 7.

მოცემული სვეტოვანი დიაგრამიდან ნათლად ჩანს, რომ აშშ-ში დამუშავებულია ყველაზე მეტი მიწა. ეს გამოწვეულია იმით, რომ ქვეყანას აქვს როგორც მიწის რესურსები, ასევე, განვითარებული ეკონომიკის ხარჯზე შეუძლია მისი დამუშავება და გამოყენება სასოფლო-სამეურნეო სავარგულებად. ინდოეთიც გამოირჩევა დამუშავებული მიწებით იმიტომ, რომ ინდოეთის ეკონომიკა მთლიანად სოფლის მეურნეობაზეა დამოკიდებული, რადგან მოსახლეობის უმეტესობა ცხოვრობს სოფელში და მათი პრიორიტეტი მიწათმოქმედებაა.

## 8.

დედამიწაზე ბუნებრივი რესურსების არათანაბრი განაწილება, გამოწვეულია პლანეტის გეოტექტონიკური და კლიმატური პროცესებით, ასევე გასულ გეოლოგიურ ეპოქაში მიწერალების წარმოქმნის განსხვავებული პირობებით.

## 9.

იმისათვის, რომ გავიგოთ რესურსუზრუნველყოფა, წელიწადში საჭიროა  $P$  (რესურსუზრუნველყოფა წელიწადში) = 35 (მარაგი)/455 (მოპოვება):

$$P = 76,9 \text{ წელიწადში}$$

ხოლო იმისათვის, რომ გავიგოთ რესურსუზრუნველყოფა 1 სულ მოსახლეზე:

$$P = 35 \text{ (მარაგი)} / 22.1 \text{ მლნ კაცი (მოსახლეობა)}$$

$$P = 1.59 \text{ ერთ სულ მოსახლეზე.}$$

## 10.

ბელგია;

იტალია;

დასავლეთი გერმანია;

ლუქსემბურგი;


საფრანგეთი;

უნგრეთი.

### §(3) ლითოსფერული რესურსები

#### 1.

მოცემული გრაფიკის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა ორი კონტინენტი: ევროპა და აფრიკა. ევროპას სამეურნეო მიწების 27% აქვს ათვისებული, ხოლო სხვა მიწები 16%-ს მოიცავს. აქედან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ევროპის ტერიტორია უფრო ათვისებულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მიზნებისათვის, რაც მაღალი ეკონომიკური მდგრადობის ნიშანია. აფრიკაში კი, ფართობიდან გამომდინარე, დაბალია სამეურნეო მიწების ათვისება (15%), მეტი ნილი – 22% მოდის სხვა მიწებზე, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ აფრიკის ქვეყნები სამეურნეო საქმიანობის დაბალი ხარისხით გამოიჩინა, ამას ემატება კლიმატური პირობები, რომლებიც ხელს უშლის სასოფლო-სამეურნეო სფეროს უკეთეს განვითარებას.



#### 2.

აზია ფართობის მიხედვით ყველაზე დიდი კონტინენტია დედამიწაზე, რაც განაპირობებს აქ ყველა ბუნებრივი ზონის გავრცელებას. მის ჩრდილოეთ ნაწილში უხვად არის ტყის საფარი. მისი გავრცელება აქ მასშტაბურია. სამხრეთ ამერიკის ტერიტორიაზე კლიმატური პირობების გავლენა (ეკვატორული და სუბტენიტორული სარტყელი) ხელს უწყობს ტყის არსებობას. ამის მაგალითი ამაზონის ტყეებია, მას „დედამიწის ფილტვებსაც“ უწოდებენ. რაც შეეხება ავსტრალიასა და ოკეანეთს, კლიმატური პირობები, კერძოდ, ცხელი ჰავა ხელს უშლის ტყის საფრის განვითარებას, ამიტომ კონტინენტი ღარიბია ტყის მასივებით.

#### 3.

სასურველია, მოსწავლემ მონიშნოს ქვეყნები: ინდოეთი, ჰაკისტანი, ავღანეთი, ნეპალი, ჩინეთი, ვიეტნამი, ფილიპინები, ეთიოპია, უგანდა, კენია.

რუკაზე წარმოდგენილია როგორც სამხრეთ და აღმოსავლეთი აზიის, ასვე ეკვატორული აფრიკის განვითარებადი ქვეყნები. ამის მიზეზია ამ ქვეყნების განვითარების დონე და არასწორი ნიადაგსარგებლობა, რომელიც მწვავედ მიმდინარეობს გლობალური კლიმატური ცვლილების ფონზე. ამავე დროს დიდ ფართობებზე ხდება ტყის ინტენსიური გაჩეხა, რაც იწვევს ეროზიული რელიეფის წარმოქმნასა და გაუდაბნოებას. შედეგად ნიადაგი განიცდის დეგრადაციას.

#### 4.

დიაგრამაზე ნათლად ჩანს ათვისებული და აუთვისებელი ტერიტორიები. აქ უნდა გავითვალისწინოთ კონტინენტების ფიზიკურ-გეოგრაფიული აგებულება: რელიეფი, კლიმატური პირობები

და წყლის რესურსების გავრცელება, რაც უმნიშვნელოვანესი პირობაა მოსახლეობის დასახლების-თვის. მოსახლეობის საქმიანობიდან გამომდინარე, ჩანს, რომ დიდი წილი მოდის დამუშავებულ და გამოყენებულ მიწებზე. ეს კი ნიშნავს, რომ ადამიანი სახლდება იქ, სადაც კომფორტული ბუნებრივი გარემოა და ამუშავებს იმ ტერიტორიებს, რომლებიც მისთვის მისაღებია. დანარჩენი ტერიტორიები, ფაქტობრივად, გამოუსადეგარია, გარდა ტყისა.

## 5.

გ) დეგრადაცია.

## 6.

სათბობ-ენერგეტიკული	მაღნეული	არამაღნეული
ქვანახშირი	რკინა	გოგირდი
ტორფი	ქრომი	ბრომი
ურანი	ნიკელი	ბარიტი
ნავთობი	მოლიბდენი	აპატიტი
ბუნებრივი აირი	ტიტანი	
	ლანდანიუმი	

## 7.

სასურველია, მოსწავლემ ჩაწეროს მინერალური რესურსების მოპოვების მეთოდები და ხერხები; ქვეყნების როლი მინერალური რესურსების მარაგის შენარჩუნებისა და რაციონალურად გამოყენების საქმეში; საბადოების შემთხვევაში განსაზღვროს დაცვის, უსაფრთხოებისა და ეკოლოგიური გარემოს მექანიზმები.

## §(4) ბიოლოგიური რესურსები

### 1.

ადამიანი ოდითგანვე იყენებდა ბუნებრივ რესურსებს. რა თქმა უნდა, ადრეულ ხანაში მისი გამოყენების მასშტაბები არ იყო ასე ფართო, როგორც ამჟამად. პროცესი დაიწყო ადრეული ხანიდან – ჯერ მცენარეების ათვისებით, შემდეგ კი ცხოველთა გამოყენებით. ბიოლოგიურ რესურსებს დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანისთვის, რადგან ყოველდღიურად იყენებს სხვადასხვა ბუნებრივ ნედლეულს. ამის კლასიკური მაგალითია ტყის ათვისება და ხე-ტყის მასალისგან მრავალფეროვანი ნივთების დამზადება, რომელთაც ადამიანი ცხოვრების განმავლობაში მოიხმარს.

### 2.

მერქანი, კორპი, ხის თესლი, კენკრა.

### 3.

ტყის ამგვარ განლაგებას განაპირობებს კლიმატური პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ მისი საფარველის განვითარებას. ასეთი არეალები წარმოდგენილია ევროპა-აზიის ჩრდილოეთ ნაწილში, ჩრდილოეთ ამერიკის ჩრდილოეთით, ასევე, სამხრეთ ამერიკაში, სადაც ეკვატორული ნაწილი ტყითაა დაფარული.

სასურველია, მოსწავლემ აღნიშნოს ქვეყნები: ბრაზილია, ვენესუელა, კოლუმბია, კანადა, აშშ, ევროპის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე თითქმის ყველა ქვეყანა და რუსეთი.

### 4.

ბ) ბიომასა.

### 5.

ჩრდილოეთის სარტყელი	სამხრეთის სარტყელი
ზომიერი კლიმატი წიწვოვანები ფიჭვნარი	ნოტიო ეკვატორული ლიანები ფართოფოთლოვანი

### 6.

თაბანის ფურცელი (A4) საჭირო პროდუქტია, რომელიც თანამედროვე ცხოვრებაში ყველაზე მოთხოვნადია. ეს გამოწვეულია იმით, რომ ნებისმიერი სამუშაოს შესრულებისას ფურცლები ყველაზე გამოიყენება. ქალალდის დამზადება შეუძლებელია მერქნის გამოყენების გარეშე, რის გამოც ტყე ნადგურდება. ეს ბუნებაზე ნეგატიურად აისახება.

### 7.

საქართველოში ტყის სანდრები 2014-2021 წლების განმავლობაში ხშირად დაფიქსირდა. სტატისტიკის მიხედვით, 2014 წელი ტყის სანდრის 241 შემთხვევა მოხდა, 2015 წელს – 291, 2016 წელს

– 132, 2017 წელს – 494 , 2018 წელს – 113, 2020 წელს – 20, ხოლო 2021 წელს – 257 შემთხვევა დაფიქსირდა. ამ სტატისტიკიდან ჩანს, რომ ტყის ხანძრის ყველაზე მეტი შემთხვევა 2017 წელს მოხდა. ამ წელს ხანძარი იყო ბორჯომისა და აბასთუმნის ტყეებში, ასევე, ხანძარი რამდენიმეჯერ გაჩნდა მაღალმთიან აჭარაშიც. ბორჯომის ხეობაში ხანძრისგან განადგურებულია ტყის 943 ჰექტარი. პირველ ეტაპზე (2018-2019 წლები) აღდგენას 250 ჰა ფართობი ექვემდებარებოდა. პროცესი უკვე დაწყებულია 144 ჰექტარზე. ნერგები უკვე დარგულია.

ხანძრის მიზეზები უმეტესად არის ადგილობრივების ან დამსვენებლების გაუფრთხილებლობა და უდირად მოპყრობა მცენარეთა საფარის მიმართ.

## 8.

სასურველია, მოსწავლემ ამოირჩიოს ინსპექტორება და მონიტორინგი, რათა მუდმივად იყოს კონტროლი ტყის საფარზე; ასევე, იდენტიფიცირება, რომ დროულად მოხდეს მავნებლების სახეობების გარკვევა, მიზანმიმართული სისტემური მოქმედების განხორციელება და დაგეგმვა, რაც ხელს შეუწყობს ყველა დანარჩენი მოქმედებების დროულ განხორციელებას.

## 9.

ატმოსფეროს გაჭუჭყიანების შედეგად, რომელშიც იგულისხმება მჟავა წვიმები, პესტიციდები, სამეურნეო ნივთებისათვის ხეტყის გამოყენება და ნიადაგის დეგრადაცია.

## 10.

ატმოსფლიოში ფაეტონივად ამაზონის ტყეებზე მოდის როგორც მცენარეთა რაოდენობდა და ამასათან საჭირო მერქნის რაოდენობა, აგრეთვე ფოტოსინთეზის პროცესისაგან სინთეზირებული საკვები მარაგი და უანგბადი. მისი მნიშვნელობა მსოფლიოს ტყის ფონდში დიდია. ამიტომაც უწოდებენ ამაზონის ტყეებს „პლანეტის ფილტვებს“.

## §(5) ჰიდროსფერული რესურსები

1.

ბ) თურქეთი, ისლანდია.


2.

გეოთერმული ენერგია არის დედამიწის ნიაღში არსებული ცხელი წყალი. ის მოიპოვება: საქართველოში, ისლანდიაში, აშშ-ში, რუსეთში, იტალიაში, ფილიპინებში, ახალი ზელანდიაში, იაპონიაში.

მას იყენებენ სხვადასხვა სამურნეო და საყოფაცხოვრებო დანიშნულებით. გეოთერმული წყალი მიეკუთვნება ალტერნატიულ რესურსებს.

3.

სქემაზე ისრები გვიჩვენებს ოკეანიდან წლის აორთქლებას, ზედა ფენებში კონდენსაციასა და იქვე, ოკეანის ზედაპირზე ატმოსფერული ნალექების სახით დაბრუნებას. ეს წყლის მიმოქცევის მცირე წრეა. წყლის მიმოქცევის დიდი წრე ასევე იწყება ოკეანიდან, ოლონდ კონდენსირებული წყალი ღრუბლების საშუალებით გადაადგილდება ხმელეთისაკენ, სადაც მოდის ატმოსფერული ნალექების – წვიმისა და თოვლის – სახით; ჩაიუნება როგორც მდინარეებში, ასევე მიწისქვეშა წყლებში, ნაწილი ინახება მყინვარებში. შემდეგ კვლავ უბრუნდება ოკეანეს. ასე იკვრება წყლის მიმოქცევის დიდი და მცირე წრეები, რომელიც მნიშვნელოვანია ბუნებისათვის.



4.

მოცემული დიაგრამა გვაძლევს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ დედამიწის ზედაპირზე ყველაზე დიდი მოცულობით ოკეანის წყლის რესურსებია, შემდეგია მყინვარები, რომლებიც, ფაქტობრივად, მტკნარი წყლის რეზერვუარია ხმელეთის ზედაპირზე. ასევე მნიშვნელოვანია მიწისქვეშა წყლების გავრცელება, რომელთა მნიშვნელობა ძალიან დიდია იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც ზედაპირული წყლებით ღარიბია.

## 5.

ოკეანის წყლები	ხმელეთის წყლები
<b>ზღვები:</b> სასარგებლო წიაღისეული ფლორა ფაუნა ენერგეტიკული (მოქცევა)	<b>მდინარეები:</b> მტკნარი წყლები ფლორა ფაუნა
<b>ყურეები:</b> მინერალური რესურსები	<b>მყინვარები:</b> მტკნარი წყალი <b>ჭაობები:</b> ტორფი

## 6.

აქ სასურველია, მოსწავლემ მონიშნოს ქვეყნები: ბრაზილია, აშშ, კანადა, კონგო, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ტანზანია, ინდოეთი, ჩინეთი, ფილიპინები, საქართველო, რუსეთი.

## 7.

ა) აფრიკის უდიდესი ნაწილი მდებარეობს ტროპიკულ და სუბტროპიკულ სარტყელში, ამ კლიმატური ზონებისათვის დამახასიათებელია მშრალი და ცხელი ჰავა, რის გამოც ზედაპირული წყლები ნაკლებია. ამის კლასიკური მაგალითია უდაბნო საპარა, რომელიც ყველაზე დიდი უდაბნოა მსოფლიოში;

ბ) მტკნარი წყლის მნიშვნელობა ძალიან დიდია მსოფლიოს მოსახლეობისათვის, რადგან მისი გამოყენება ხდება ყოფა-ცხოვრებისა და მეურნეობის ყველა სფეროში. ზოგიერთი ქვეყნისთვის კი ყველაზე ძვირფას ნედლეულსაც კი ნარმოადგენს, მაგალითად, საუდის არაპეტისთვის. იქ მტკნარი წყალი ნავთობზე მეტად ფასობს. ამიტომ წყლის მნიშვნელობა ყველა ქვეყნისთვის განსაკუთრებული და განსხვავებულია;

გ) მტკნარი წყლის რესურსების დეფიციტს განიცდის სამხრეთ აზის ქვეყნები: ისრაელი, არაბთა გაერთიანებული საემიროები, საუდის არაბეთი, ირანი, ერაყი, კატარი, აფრიკის ქვეყნები: ლიბია, ალჟირი, ნიგერი, მალი და სხვ.

## 8.

ხმელეთის წყლების არათანაბარი განაწილება მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, კერძოდ: განედზე, რელიეფსა და კლიმატურ პირობებზე, ყოველივე ეს ხელს უწყობს ან ზედაპირული წყლის სიუხვეს, როგორც ეს ინდოეთშია, ან, პირიქით – მშრალი რეგიონების ჩამოყალიბებას, მაგალითად, აფრიკის ჩრდილოეთში. ტროპიკული კლიმატი განაპირობებს ამ რეგიონში ზედაპირული წყლების სიმცირეს. მიწისქვეშა წყლების გავრცელება, მაგალითად, ავსტრალიაში, გამოწვეულია წყლის

რეზერვუარების ბუნებრივად წარმოშობით ცხელი და მშრალი კლიმატის პირობებში.

9.

მინისქვეშა აუზი – დიდი არტეზიული აუზი;  
კონტინენტი – ავსტრალია.

10.



ობიექტი – ჭაბურღილი

ბუნებრივი რესურსი – სასარგებლო წიაღისეული  
მოპოვებს – ნავთობს



ობიექტი – წყალსაცავი

ბუნებრივი რესურსი – წყალი  
გამოიმუშავებს – ელექტროენერგიას



ობიექტი – ტალღები, მიქცევა-მოქცევა

ბუნებრივი რესურსი – წყალი  
გამოიმუშავებს – ელექტროენერგიას

ობიექტი – ქარის ელსადური

ბუნებრივი რესურსი – ქარი  
გამოიმუშავებს – ელექტროენერგიას

11.

№	მტკიცებულება	კი	არა
1	მდინარე ენერგეტიკის წყაროა, მისი ყველაზე დიდი რესურსი ნავთობია, რაც მას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.		არა
2	ეოლური ელექტროსადგურები შენდება იქ, სადაც წნევის სხვაობა დიდია და ხელს უწყობს ელექტროენერგიის გამომუშავებას.	კი	
3	ქვანახშირის მოპოვება მხოლოდ ოკეანის შელფურ ნაწილში ხდება		არა
4	ოკეანეში მიქცევა-მოქცევა ხდება წელიწადში ერთხელ ან იმ დროს, როცა საჭიროა ელექტროენერგიის გამომუშავება.		არა

## § 6 კლიმატური და კოსმოსური რესურსები

1.

მზე წარმოადგენს მთავარ კლიმატურ რესურსს. მისი ენერგიის საშუალებით ორგანიზმები ცოცხლობენ და ცხოველქმედებენ. მზის ენერგიას საჭიროებს ნიადაგი, რადგან სწორედ ნიადა-გიდან აღმოცენდება მცენარე; თავად მცენარე კი მზის ენერგიის ხარჯზე ამზადებს ფოტოსინთეზის საშუალებით ენერგო-ბუნებრივ პროდუქტებს და, ამასთან, გამოყოფს უანგბადს, რომელიც აუცი-ლებელია ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმისთვის. აქ, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანს, რადგან ამ გარდაქმნის საფუძველზე იგი იღებს როგორც საკვებს, ასევე უანგბადს.

2.

გლუკოზა და უანგბადი.

3.

სასურველია, მოსწავლემ კონტურულ რუკაზე მონიშნოს ყველა ის ქვეყანა, რომელიც მდება-რეობს ცხელ განედებში.

ეს ქვეყნები პოტენციურად საუკეთესო ობიექტებია ჰელიოსადგურებისთვის, რადგან ისინი მდებარეობენ ეკვატორულ სარტყელში, სადაც მთელი წლის განმავლობაში მზის ნათების ხანგრძლივო-ბა დიდია. ეს კი ხელს უწყობს ჰელიოსადგურების მშენებლობას, რაც უფრო პრაქტიკულია ელექტ-როენერგიის გამომუშავებისთვის.

4.

დედამინა მზიდან მიღებული სითბოს რაოდენობის მიხედვით ჰოლუსიდან ეკვატორამდე იყოფა ხუთ აგროკლიმატურ ზონად; ესენია: ცივი ზონა, სადაც სოფლის მეურნეობის წარმოება ლია გრუნ-ტზე არ ხდება; გრილი ზონა, სადაც სითბო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მატულობს, ამიტომ აქ იზრდება სითბოს ნაკლებად მოყვარული მცენარეები; ზომიერი ზონა, სადაც ვეგეტაციის ხანგრძ-ლივობა 60-200 დღეა; თბილი ზონა, სადაც ხშირია სუბტროპიკული მცენარეები; ცხელი ზონა სადაც შესაძლებელია ტროპიკული ზონებისთვის დამახასიათებელი კულტურების მოყვანა მთელი წლის განმავლობაში.

5.

მზის ენერგია ალტერნატიული ენერგიაა. მისი ათვისება სხვადასხვა ქვეყნაში განსხვავებული მაჩ-ვენელით არის. მაგალითად აშშ-ში მისის გამოყენება მხოლოს 1%-ით განისაზღვრება ვიდე სხვა ენერგია. მაგრამ შედგომი ეტაპებისთვის მზის ენერგიის ათვისება მთავარი წყარო იქნება თაამედრო-ვე მსოფლიოს ენერგეტიკული წყაროებისათვის. რაც დადებითად აისახება ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებაზე და ბუნების ეკოლოგიურ გარემოს შენარჩუნებაზე.

6. შიდა ქართლში.

7. а) ფსიხეია.

8.

კლიმატური რესურსების არასწორი და არარაციონალური გამოყენება გამოიწვევს გარემოს და-ბინძურებას სხვადასხვა ქიმიური თუ ფიზიკური ნარჩენებით, პესტიციდებით, ასევე ხელს შეუწყობს ნიადაგის დეგრადაციას, გაღარიბებას, გაუდაბნოებას. გარემოს დაბინძურება კი გამოიწვევს მოსახ-ლეობის მიგრაციას.

## § 7 რეკრეაციული რესურსები

## 1.

რეკორდულ რესურსებს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ისინი წარმოადგენენ ადამიანისთვის ძალების აღდგენის მთავარ საშუალებას. დასვენებისას ადამიანი ცდილობს იმ განეული შრომის საფასურად კომფორტულად და მისთვის მისაღებ გარემოში დაისვენოს. ასევე, რომ რეკორდულ რესურსებზე ტურისტების მიერ დახარჯული თანხები სახელმწიფო პიუჯეტში სხვადასხვა სახით შედის, რაც ამ ქვეყნების ეკონომიკის განვითარებას უწყობს ხელს.

## 2.

### დ) გროტი.

## 3.

კარლოვი-ვარი საკურორტო ქალაქია ჩეხეთში; მდებარეობს დასავლეთ ბოჰემიაში, ოგრუეს ხეობაში, მდინარე ტეპლის შესართავთან, ზ. დ. 447 მ სიმაღლეზე. სახელი ენოდა საღვთო რომის იმპერატორის კარლ IV-ის პატივსაცემად, რომელმაც დააარსა ქალაქი 1370 წელს. ისტორიულად არის განთქმული თავისი მრავალრიცხოვანი ცხელი წყაროებით. სულ მოიპოვება 13 ძირითადი და 300-მდე მცირე წყარო, აგრეთვე მდინარე ტეპლის თბილი წყლები. კარლოვი-ვარი XIX საუკუნეში გადაიქცა მნიშვნელოვან საკურორტო ზონად, აქ აქცია მრავალი სანატორიუმი, აბაზანა და სასტუმრო. კარლოვი-ვარი განთქმულია აგრეთვე, საერთაშორისო კინოფესტივალითა და ბესეროვკას ლიქიორით. არაერთი სახელგანთქმული ადამიანი სტუმრობდა კარლოვი-ვარს, როგორც სამეურნალო-ბალნეოლოგიურ კურორტს. მათ შორის იყვნენ კომპოზიტორები: ლუდვიგ ვან ბეთოვენი, ფრედერიკ შოპენი, იოჰანეს ბრამსი და სხვ. სამეურნალო საშუალებაა ნახშირმჟავა სულფატურ-ჰიდროკარბონატული ნატრიუმიანი თერმული წყალი, რომლის ტემპერატურა იცვლება  $41,2^{\circ}\text{C}$ -იდან  $72,2^{\circ}\text{C}$ -მდე. იყენებენ სასმელად, ჩამოსასხმელად, აბაზანებისათვის, შესასხურებლად, ინჰალაციისათვის, ნაწლავების გამოსარეცხად და სხვ. გარდა ამისა, არის ტორფის ტალახით მკურნალობა. მთავარი წყაროა ვრუიდლო, ეგრეთ წოდებული შპრუდელი, რომლის წყლისაგან იღებენ კარლოვი-ვარის მარილს. ქალაქ კარლოვი-ვარში იმოგზაურა ცნობილმა ქართველმა მწერალმა, მეცნიერმა და მოგზაურმა თეიმურაზ ბატონიშვილმა (1782-1846).

## 4.

სქემიდან ნათლად ჩანს, რომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში განვითარებულია ტურიზმი. აზიაში ამ დარგში წამყვანია ჩინეთი, ევროპაში – გერმანია. ჩინეთის მასშტაბები თავისთავად დიდია, რადგან ქვეყანა წარმოადგენს მსოფლიოში ფართობითაც (ათეულშია) და მოსახლეობითაც (პირველია ათეულში) უდიდეს სახელმწიფოს. ამასთან, მისი ბუნებრივ-რეკორდული რესურსული ზონები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, რაც ტურისტებს მუდმივად იზიდავს.

## 5.

① ქვეყანა – გერმანია

ობიექტი – ანთროპოგენური ძეგლი; ბრანდერბურგის კარიბჭე

② ქვეყანა – აშშ

ობიექტი – ბუნებრივი ძეგლი; კოლორადოს კანიონი

③ ქვეყანა – საქართველო

ობიექტი – ბუნებრივი ძეგლი; კაცხის სვეტი

④ ქვეყანა – ინდოეთი

ობიექტი – ანთროპოგენური ძეგლი; თაჯ-მაჰალი

## 6.

ჩვენი ქვეყნის ფართობია 69.7 ათასი კმ<sup>2</sup>, არც თუ ისე დიდია მსოფლიოს სხვა ქვეყნების ფართობთან შედარებით. მიუხედავად ამისა საქართველო გამოირჩევა მრავალფეროვანი ფიზიკურ-გეოგრაფიული და ბუნებრივი ძეგლებით, როგორც ნოტიო და თბილი, ასევე ცხელი და ცივი კლიმატით. მთიანი რეგიონებს ენაცვლება დაბლობები, ხოლო საქართველოს დასავლეთი წარმოდგენილია შავი ზღვის სანაპიროთი. ყოველივე ეს ქვეყანას აძლევს იმის შანს, რომ ტურიზმი იყოს განვითარებული. ამას ემატება ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორია და კულტურა, რაც ასევე მიმზიდველია ტურისტებისათვის. ხოლო ტურიზმის განვითარება ეს არის დამატებითი ფულადი შემოსავლები ქვეყნის-თვის, რაც მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისთვის.

## 7.

პირამიდები – ეგვიპტე, ქრისტეს ქანდაკება – ბრაზილია, ეიფელის კოშკი – საფრანგეთი, თავისუფლების ქანდაკება – აშშ, ლუმანის ეროვნული პარკი – ჩინეთი, ლოხ-ნესის ტბა – გაერთიანებული სამეფო, ოკაცეს კანიონი – საქართველო, ბურჯხალიფა – არაბთა გაერთიანებული სამეფო, მაჩუ-პიქჩუ – პერუ.

## § 8 მოსახლეობის სიმჭიდროვე

### 1.

მოსახლეობის განლაგების ანალიზისთვის იყენებენ სიმჭიდროვის მაჩვენებელს, რომლის განსასაზღვრად საჭიროა მოცემული ტერიტორიის მოსახლეობის რაოდენობა გავყოთ ამავე ტერიტორიის ფართობზე. მიღებული შედეგი გვიჩვენებს, მოსახლეობის სიმჭიდროვეს, ანუ რამდენი ადამიანი ცხოვრობს საშუალოდ 1 კვადრატულ კილომეტრზე.

### 2.

ა) მონაკო, მოსახლეობის სიმჭიდროვე – 19 427 ადამიანი;

ბ) მონდოლეთი, მოსახლეობის სიმჭიდროვე – 2,0 ადამიანი; მონდოლები წლების განმავლობაში მომთაბარე ცხოვრებას ეწოდნენ. არ ჰქონდათ სტაბილური საცხოვრებელი ადგილი. ეს გამოწვეული იყო მათი როგორც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით, ასევე რთული ბუნებრივი პირობებით.

გ) მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვისათვის, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ბუნებრივი პირობები, რომლებიც განსაზღვრავს საცხოვრებელი ადგილის კომფორტულობას; ასევე ცხოვრების მაღალი დონე. აქედან გამომდინარე, მაღალგანვითარებული პატარა ფართობის მქონე ქვეყნები გამოიჩინა მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვით.

### 3.

ავსტრია – 8902.6 მლნ კაცი / 83879 კმ<sup>2</sup> = 106 კაცი 1 კმ<sup>2</sup>-ზე

ინდოეთი – 1273960000 მლრდ კაცი / 3287590 კმ<sup>2</sup> = 387 კაცი 1 კმ<sup>2</sup>-ზე

### 4.

მოცემულ რუკაზე ნათლად ჩანს, რომ მოსახლეობის უმეტესი ნაწილი განსახლებულია ქვეყნის ტერიტორიის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპირო ზოლში. ამის მიზეზია წყალთან სიახლოვე და ხელსაყრელი კლიმატური პირობები. შიდა რაიონებში კი მოსახლეობა, ფაქტობრივად, არაა, რაც გამოწვეულია მაღალმთიანი რელიეფით, მკაცრი ბუნებრივი პირობებით, კონტინენტური ჰავითა და უდაბნოებით.

### 5.

ა) მკაცრი და არახელსაყრელი ბუნებრივი პირობები – სტიქიური მოვლენები, ეკონომიკური მდგომარეობის სირთულე, არასათანადო ინფრასტრუქტურა და კვალიფიციური სპეციალისტების დასაქმების შესაძლებლობის არარსებობა;

ბ) ყველაზე მეტად დაცლის რისკის ქვეშ არის ზემო სვანეთის, მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლისა – მთის სოფლები;

გ) სასურველია, მოსწავლემ დაწეროს: სტიქიურ მოვლენებთან ბრძოლის ხერხები, საავტომობილო გზების სრულყოფილი კეთილმოწყობა. საგანმანათლებლო დაწესებულებების აღჭურვა თანამედროვე საშუალებებით, ინფრასტრუქტურის მოწყობისა და პრობლემების მოგვარების შესახებ

### 6.

№	მტკიცებულებები	კი	არა
1	მაღალი სიმჭიდროვით გამოიჩინა „გიგანტი“ ქვეყნები, რადგან ფართობი იძლევა საშუალებას მოსახლეობის მჭიდრო განსახლებისთვის.		არა

2	მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვე არახელსაყრელი კლიმატური პირობების მქონე ქვეყნებისათვის არის დამახასიათებელი.	კი	
3	მოსახლეობის სიმჭიდროვით გამოირჩევა „ჯუჯა“ სახელმწიფოები.	კი	
4	მოსახლეობა ადრეულ ხანაში ცდილობდა დასახლებულიყო წყლითა და რესურსებით მდიდარ გარემოში.	კი	

## 7.

სასურველია, მოსწავლემ მონიშნოს: დასავლეთი საჰარა, ლიბია, კანადა, ავსტრალია, მონდოლეთი, ანგოლა, ნამიბია, გაიანა, სურინამი.

## 8.

მოცემულ სურათზე ნათლად ჩანს მოსახლეობის სიმჭიდროვის განსხვავება მსოფლიოში, ტერიტორიების მასშტაბით. იმ პერიოდისათვის, ფაქტობრივად, დაუსახლებელია ამერიკის კონტინენტი, გარდა კარიბის ზღვისა და მექანიკის უურის სანაპირო რაიონებისა. მაღალი სიმჭიდროვით გამოირჩევა ევროპის, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზის ქვეყნები. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ადრეული ხანიდან მოსახლეობის დიდი ნაწილი სწორედ ამ ტერიტორიებზე სახლდებოდა. ამის გამომწვევი მიზეზია ისტორიული წარსული, ცივილიზაციის პირველი კერძი, რომელიც ზღვებისა და მდინარეების ნაპირებთან ჩაისახა.

## 9.

ხუთი ყველაზე მჭიდროდ განსახლებული არეალი		
რეგიონი	სიმჭიდროვე 1კმ <sup>2</sup> -ზე	რეგიონში შემავალი ქვეყნები
აღმოსავლეთაზიური	160 ადამიანი	უდიდესია, მოიცავს ჩინეთს, იაპონიას, სამხრ. და ჩრდ. კორეას
სამხრეთაზიური	300-500 ადამიანი	მოიცავს ინდოეთს, ბანგლადეშს, პაკისტანსა და შრი-ლანკას
სამხრეთ-აღმოსავლეთაზიური	300 ადამიანი	მოიცავს ინდონეზიას, ტაილანდს, ფილიპინებსა და მალაიზიას
დასავლეთევროპული	200 ადამიანი	მოიცავს დიდ ბრიტანეთს, ბენილუქსის ქვეყნებს, ჩრ. საფრანგეთსა და გერმანიას
ატლანტის ოკეანის სანაპირო და დიდი ტბები	250-300 ადამიანი	მოიცავს აშშ-ს ჩრდილო-აღმოსავლეთსა და კანადის სამხრეთ-აღმოსავლეთს

## 10.

მონდოლეთი – 2.0, ნამიბია – 2.6, სურინამი – 3.0, მავრიტანია – 3.1 კაცი, კანადა – 3.9 კაცი, მალტა – 1397 კაცი, ვატიკანი – 1820 კაცი, ბაჰრეინი – 2224 კაცი, სინგაპური – 8240 კაცი, მონაკო – 19 427 კაცი.

## §(9) ეკომიგრაცია

### 1.

ეკოლოგიური კატასტროფა – ბუნებრივი კომპლექსების შეუქცევადი ცვლილებები, დაკავშირებული ცოცხალი ორგანიზმების მასიურ ამოხოცვასთან. ეს შეიძლება იყოს ლოკალური ან გლობალური. ლოკალური ეკოლოგიური კატასტროფა ერთი ან რამდენიმე ლოკალური ეკოლოგიური სისტემის დალუპვას იწვევს. გლობალური ეკოლოგიური კატასტროფა ჰიპოთეზური მოვლენაა, რომელიც დედამინის ბიოსფეროზე გარე თუ შიდა ფაქტორების ზემოქმედების დაუშვებლად მაღალი დონის შედეგად შეიძლება მოხდეს.

### 2.

#### ბ) კოფლიქტები.

ეს გამოწვეულია იმით რომ დღევანდელ მსოფლიოში ჯერ კიდევ ხდება ტერიტორიული გადანაწილებები, რაც იწვევს ომებს და ლოკალურად უარყოფით შედეგებს, შედეგად კი მოსახლეობა ცდილობა მისთვისს საჭირო და მისაღებ გარემოში გადაადგილდეს, რათა თავი იგრძნოს უსაფრთხოდ.

### 3.

ჩამოთვლი ქალაქებიდან ეკოლოგიური დაბინძურების რისკის ქვეშ იქნება ჩიკაგო, რიო-დე-ჟანეირო და მეხიკო. ეს გამოწვეულია იმით, რომ სამივე ქალაქი პოლიფუნქციურია. მრავალი საწარმო და უამრავი მანქანის გამონაბოლევი აბინძურებს ჰაერსა და გარემოს. ამიტომაც მოსახლეობა ცდილობს გადავიდეს ქალაქის პერიფერიულ ნაწილში, რათა აიცილოს ის უარყოფითი შედეგები, რომლებიც სამრეწველო და საავტომობილო დაბინძურებითაა გამოწვეული.

### 4.

სკანეთი და ზემო აჭარა. სკანეთი – ზვავების გამო. ზემო აჭარა – მეწყრის გამო.

### 5.

შრომითი მიგრანტი, ფაქტობრივად, არის პირი, რომელიც თავის ნებით მიდის განვითარებულ ქვეყნაში, მაღალი ანაზღაურების გამო; ხოლო ეკომიგრანტია ის პირი, რომელიც ბუნებრივი ან ტექნოგენური კატასტროფების გამო იძულებით გადაადგილდება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, ქვეყნის საზღვრებს გარეთაც.

### 6.

გ) ქვეყანაში ეკონომიკური დონის დაბალი მაჩვენებელი.

### 7.

ა) ვერეს ხეობის ტრაგედია. 2015 წელი 13 ივნისი. მეწყერი და წყალმოვარდნა.

ბ) ეს სტიქიური მოვლენა გამოიწვია ჭარბა ატმოსფერულმა ნალექმა, რომელიც იმ საღამოს მოვიდა ქალაქსა და გარეუბნებში. შედეგად წამოვიდა მეწყერი სოფ. ახალდაბასთან, დაგუბდა ადიდებული მდ. ვერე, შემდეგ გაარღვია ჩახერგილი მასა და დიდი ნაკადი დაეშვა ხეობაში, გარკვეულ ტერიტორიებზე ისევ გუბდებოდა გვირაბებთან, რაც აძლიერებდა წყალმოვარდნის ეფექტს. შედეგად ამ ტრაგედიას შეენირა 21 ადამიანი.

გ) სასურველია, მოსწავლემ დაწეროს: მდინარისა და ფერდობების გამაგრება ჯებირებით; საავტომობილო გზის უზრუნველყოფა დამცავი საშუალებებით; ასევე, თავდაცვის ცოდნა და მოქმედება, რომლებიც მოსახლეობას გამოადგება ამ მოვლენისაგან თავის დასაცავად.

## 8.

სურათზე ნათლად ჩანს მყინვარ დევდორაკის ცვლილება წლების განმავლობაში. ეს გამოწვეულია გლობალური კლიმატური დათბობით, ასევე, ადამიანის საქმიანობით, რომლის დროსაც მყინვარები აქტიურად განიცდის დნობას. მყინვარ დევდორაკის ახასიათებს ხშირი წყალმოვარდნები, როგორც წარსულში, ასევე, თანამედროვე პერიოდში (2014, 2016, 2017 წელები).

## 9.

იქიდან გამომდინარე, რომ ყინულის ფართობია  $55 \text{ м}^2$  (მ), ხოლო სიმაღლე –  $3,5 \text{ მ}$ ,  
 $55 \cdot 3.5 = 192.5$

ხოლო  $192.5 / 361 = 0.53$  (დაახლოებით) ანუ უდრის 53 სმ.

პასუხი არის: მსოფლიო ოკეანის დონე აიწევს 53 სმ-ით.

## §(10) მდგრადი ტურიზმი


### 1.

- ა) აჭარაში, შავი ზღვის კურორტებზე;  
ა) ბაკურიანში, გუდაურში, გოდერძის უღელტეხილზე, სვანეთში, ბახმაროში;

### 2.

ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ
I	I	II	III	II	I	III

### 3.



- ა) 2021 წელი;  
ბ) თბილისი 248.7 ათასი;

- გ) სამცხე-ჯავახეთი – 54,0 ათასი;  
 დ)  $1.415.5 - 1.034.1 = 381.4$  ანუ სხვაობა 2015 და 2021 წლებს შორის იყო – 381.4 ათასი ვიზიტორი.

ე) ეს პროცესი განპირობებულია საერთო პრობლემით, რომელიც მიმდინარეობს მსოფლიოში: ფასების ზრდა, ეკონომიკური ცვლილებები და, ბოლოს, პანდემია, რომელიც 2019 წლიდან მძიმედ აისახა ყველა ქვეყნის ეკონომიკურ სფეროზე. შესაბამისად, ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა შეამცირა ვიზიტორთა რიცხვი.

#### 4.



- ა) სასურველია, მოსწავლემ მონიშნოს თბილისიდან ბეთანიამდე საფეხმავლო გზა; ქუთაისიდან ბაგრატის ტაძრამდე საფეხმავლო გზა;  
 ბ) სასურველია, მოსწავლემ აღნიშნოს მისთვის მოსახერხებელი პირობითი ნიშნებით ეს კურორტები საქართველოს კონტურულ რუკაზე.

გ)



<https://ge.2markers.com/188824-334600>



<https://travelinborjomi.ge/ka/sights>



<https://www.redfedoradiary.com/ka/მესტია-სვანეთი/>

## §(11) გაუდაბნოება

1.

ბ) ირიგაცია.

2.

ეს ფაქტორებია: მზის დაცემის კუთხე, ტროპიკულის არსებობა, გლობალური დათბობის ეფექტი, ადამიანის ინტენსიური საქმიანობა და ბუნებრივი პირობების არარაციონალური გამოყენება, გადაძოვება, ნიადაგის არასწორი დამუშავება.

3.

სასურველია, მოსწავლემ აღნიშნოს კონტურულ რუკაზე ქვეყნები: ბრაზილია (სამხრეთი ნაწილი), არგენტინა, აშშ-ის დასავლეთი და ცენტრალური რაიონები. აფრიკის კონტინენტის ჩრდილოეთ ტერიტორიაზე მდებარე ქვეყნები: მაროკო, ალჟირი, ეგვიპტე, აზიის ახლო და შერეული აღმოსავლეთის ქვეყნები: საუდის არაბეთი, ირანი, ავღანეთი, ინდოეთის (ჩრდილოეთი ნაწილი), ყაზახეთი, ავსტრალია.

4.

სასურველია, მოსწავლემ მონიშნოს უდაბნოები: საჰარა, დიდი ქვიშიანი, გობი, დიდი ქვიშიანი, რუბ-ელ-ჰალი, კალაჰარი, უდაბნო ვიქტორია, ატაკამა.

5.

დამშრალი წყალსატევები, მცენარეთა და ცხოველთა საფარის განადგურება, ნიადაგის ეროზია, მოსახლეობის გაღარიბება.

6.

დ) 47%.

7.

- ა) ნიადაგის ორგანული სასუქით გამდიდრება;
- ბ) კულტურების შერჩევითი და მონაცვლეობით მოყვანა;
- გ) სარწყავი სისტემის ეფექტურად მოხმარება;
- დ) ახალი ტექნოლოგიების დანერგვა;
- ე) ტრადიციული სოფლის მეურნეობის პრაქტიკის გათვალისწინება.

8.

ეკვატორული სარტყელი გამოირჩევა წყალუხვობით, მაგრამ ზოგიერთი ქვეყნა გაუდაბნობის წინაშე დგას. ეს გამოწვეულია ხე-ტყის უკონტროლო ჭრით, მრეწველობის განვითარებით და სასოფლო სამურნეო სავარგულების არარაციონალური გამოყენებით, რასაც ნიადაგის ეროზია და დეგრადაცია მოყვება, ხოლო მას – გაუდაბნოება.

## §(12) ნარჩენების მართვა

### 1.

ნარჩენების მართვა ნიშნავს ნარჩენების შეგროვებას, გადაზიდვას, აღდგენასა და განვითარებას, ასევე, ამ ღონისძიებების ზედამხედველობისა და განთავსების ადგილების შემდგომ მოვლას.

### 2.

ა) სასურველია, მოსწავლემ ჩამოთვალის უარყოფითი შედეგების მქონე სახითათო და სამედიცინო ნარჩენები. მოიყვანოს მაგალითები ჩერნობილში ან ინდოეთში მომხდარი ქიმიური კატასტროფის შესახებ, სადაც უპირველესი ამოცანა იყო დაზიანებული ნარჩენების განადგურება.

ბ) სასურველია, მოსწავლემ აღნიშნოს ტრანსპორტირების ეფექტურობა, გადაზიდვის ის ხელსაყრდნო დრო, როდესაც არ ხდება მოსახლეობის აქტიური საქმიანობა, რათა ნარჩენების გადაზიდვა იყოს უსაფრთხო. განიხილოს გადამზიდავის ფუნქციები და რისკის ფაქტორი.

გ) ეს საკითხი მოიცავს ყველა საწარმოო, ტექნოლოგიურ და არატექნოლოგიურ საშუალებებს, რომლებსაც ვეხებით ყოველდღიურად. მათი დაზიანება ან მათგან გამონვეული დაზიანების ეფექტი უარყოფითად აისახება ჩვენს გარემოზე. სპეციფიკური ნარჩენების გავრცელების საშიშროება განაპირობებს არა მარტო ქალაქის ცენტრების, არამედ პერიფერიულის, სოფლების, სასოფლო-სამეურნეო და სხვა მიწების დაბინძურებას.

დ) აქ მოსწავლემ უნდა განსაზღვროს ნარჩენების მართვის სისტემა იმ ადგილის მიხედვით სადაც ცხოვრობს; აღნიშნოს ყველა პუნქტის დაბინძურების ხარისხი, დაგეგმოს ეფექტური მართვის ხერხები, რათა შემცირდეს გარემოს დაბინძურება.

### 3.

	განმარტება	ახსნა
<b>Reduce</b>	შემცირება	მისი მიზანია ნარჩენების მინიმუმამდე შემცირება
<b>Reuse</b>	ხელახლი გამოყენება	გამოყენებული ნივთების ხელახლი გამოყენება
<b>Recycle</b>	გადამუშავება	ამ პროცესის დროს ტექნოლოგიური დამუშავებით მიღება სხვა პროდუქტი

### 4.

სასურველია, მოსწავლეებმა დასახონ პრობლემის გადაჭრის გზები, რომლებიც მოიცავს: სამედიცინო ნარჩენების შეგროვებას, მათ უსაფრთხო ტრანსპორტირებას, ნაგავსაყრელების დაცვას, რათა სხვადასხვა დაავადების გავრცელების რისკი მინიმალური იყოს; ასევე, შემუშავდეს სპეციალური ურნა (ჰერმეტული) რომელიც დაიცავს ადამიანს სხვადასხვა დაავადების გავრცელებისგან.

## მეთოდური ლიტერატურა და ინტერნეტრესურსები

ზოგადი განათლების რეფორმა

<https://mes.gov.ge/content.php?id=12326&lang=geo>

კომპლექსური დავალების ბანკი

[https://www.youtube.com/channel/UCH9Fh-JgnRaYyIXG9\\_sD9Jg/featured](https://www.youtube.com/channel/UCH9Fh-JgnRaYyIXG9_sD9Jg/featured)

გეოგრაფიის გზამკელევი

<https://mes.gov.ge/uploads/files/gzamkvlevi/%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%90.pdf>

ტელესკოლა

<https://www.youtube.com/channel/UCTnUSFr63wePVSiEvi7AUuw>

გეოგრაფიის კომპლექსური დავალებების ბანკი

[https://www.el.ge/articles/project\\_tasks/4/10](https://www.el.ge/articles/project_tasks/4/10)

გეოგრაფიული საიტები:

<https://www.nationalgeographic.com>

GOOGLE EARTH

<https://earth.google.com/web/>

გეოგრაფია სახლში

<https://www.rgs.org/schools/teaching-resources/geography-at-home-worksheets/>

მსოფლიო და მე The World population and me (გეოგრაფიული თამაში)

[https://www.ined.fr/en/everything\\_about\\_population/population-games/world-population-me/](https://www.ined.fr/en/everything_about_population/population-games/world-population-me/)

რამდენ ხანს ვიცოცხლებ (მოსახლეობის კალკულატორი)

<https://population.io/>

მსოფლიო მოსახლეობის ისტორია

<https://worldpopulationhistory.org/map/1/mercator/1/0/25/>

მსოფლიოში იმიგრანტთა და ემიგრანტთა რუკები

<https://www.migrationpolicy.org/programs/data-hub/maps-immigrants-and-emigrants-around-world>

„Definitions of Population Policy Variables“

[https://www.un.org/en/development/desa/population/publications/pdf/policy/WPP2013/Chapters/d\\_Definitions%20of%20Population%20Policy%20Variables.pdf](https://www.un.org/en/development/desa/population/publications/pdf/policy/WPP2013/Chapters/d_Definitions%20of%20Population%20Policy%20Variables.pdf)

“Population Policy and the Demographic Transition: Performance, Prospects, and Options”

<https://www.jstor.org/stable/41762407>

<https://orjerori.ge/samoqalaqo/politikuri-ideologiebi>

ანიმაციები ხელს უწყობს მითების განადგურებას წითელი ხორცის გარემოზე ზემოქმედების შესახებ

<https://www.beefcentral.com/news/animations-help-debunk-myths-about-red-meats-environmental-impact/>

გლობალური მიგრაციული ნაკადების (2010-2015)

<https://blog.revolutionanalytics.com/2018/06/global-migration-animated-with-r.html>